



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კახ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თვით 2 მან., თათო ნამური—15 კახ.
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-თრის ქუჩაზე, № 35.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: მეურნე და მეურნეობა, გ. მარმადასა. — მიწის სამცირე ზეენ გლეხობაში, ნ—ელისა. — სსკადსხვა ამბები. — კორე-სზანდენტიები. — რუსეთის ცხოვრება. — სსზღვარ-გარეთ. — აზრი, მათ. ღ. ანდრეევის, თარგ. ბ. ლომთათაძისა. — ლექსი, ლ. სს. — კურნალ-გაზეთებიდან. — წერილი რედ. მიმართ. — განცხადებანი.

საბოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილის გარეთ 4 მან., ხელთ სხვა თვით 2 მან. თათო ნამური სამ შაურათ. ადრესის გამომცემს თფილის გარეთ ღირს ორ აბაზათ.

სელას მომწერლებს შეუძლიათ წლას ფული ნაწილ-ნაწილათაჲსი შემიტანან.

სელას მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლას ქუჩა, თაკად-ახნაურბის ქარვასდა); რკინის გზის სადგურზე ზირკელი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარ-ტიშიდთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადიქსთან, გ. ბუკანეშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგბის კიოსკოში; ბათუმში სხირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენაში—გ. თაკათქილასის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გურასიძე ბერადქსთან; ვერიალსში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სასახლს სამკითხველთაში; ძველ-სენაში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დამენტი შავაშვილთან; საბუნაში—დამიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

მეურნე და მეურნეობა.

X.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, მიწის კაპიტალის ბრჭყალებში ჩაყარნას თან მოყვა წვრილი მესაკუორის და-ბეჩავება და გალარბება. ის დიდ მეურნესთან შედარებით

იძულებულია მიწა იყიდოს ძვირათ, წარმოება დაიჯინოს ძვირათ, ხოლო ნაწარმოები გაყიდოს იაფათ. ამ გარემოებამ გამოიწვია ორა მთავარი ცვლილება სოფლის ცხოვრებაში: ერთი მხრით მოიკლო მესაკუორეთა რიცხვმა და გამრავლდა სოფლის ბოგანო ხალხი, მეორე მხრით სოფლელნი თანდათან შორდებიან სოფელს და მიილტვიან ქალაქებისაკენ. ეს ორი პროცესი მჭიდროთ არის ერთმანეთთან შეკავშირებული და წარმოებს ერთათ. 1895 წ. აღწერით გერმანიაში ითვლებოდა მეურნეთა რიცხვი 18,501,307 ანუ ყველა მცხოვრებთა 35,74%. ამათში მწარმოებელ (selbständige) მეურნეთა რიცხვი იყო 2,568,725, ხოლო მუშები იყვენ 5,627,794, ამას უნდა მივსატოს 96,173 მოჯამავირე თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პირველთა რიცხვში ჩათვლილია მოიჯარადრე და სხვისი მამულის გამგენი—გამოვა რომ მესაკუორეთა რიცხვი ორ მილიონსაც არ აღემატება. თითქმის მთელი გერმანიის ადგილ-მამუ-ლი ამათ ეკუთვნის და ნაწილდება ამნაირათ: იმავე წელს ითვლებოდა 5,558,317 სამეურნეო წარმოება; ამათში 3,236,397 ანუ 58,22% შეადგენდა თითო ორ ჰექტ. ნაკლებ წარმოებას; 1,016,318 ანუ 18,29% შეიცავდა 2-5 ჰექტარამდი, დინარჩენნი კი ხუთ ჰექტარზე მეტს. ყოველ ექვს გარეშეა ის, რომ პირველი კოტეგორიის მესაკუორენი ვერასოდეს ვერ იქნებიან დამოუკიდებელი მეურნენი და იძულებული იქნებიან ან სხვისი მამული იჯარით აიღონ ან და სხვას მიექირონ. ამას უნდა მივსატოთ მეორენი, რადგან ხუთი ჰექტარი მიწა საკმაო არ არის მთელი ოჯახის სარჩენათ და ყველა მის მთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. მაშასადამე ას მესაკუორეთა შორის 76 სხვის მამულში ან სხვის ქირაში საჭიროებს, ხოლო დანარჩენი 24 მესაკუორე შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ მესაკუორეთ. პირველთ ეკუთვნის 1,808,444 ჰექტარი მიწა, მეორეთა 3,285,984 ჰექტარი, ხოლო დანარჩენთ (დამოუკიდებელთ) 27 მილიონზე მეტი. საფრანგეთში 1892 წელს იყო 3,604,789 მწარმოებელი მეურნე, ხოლო 3,058,346 სოფლის მუშა. ერთ ჰექ-

ტარ ნაკლებიანი წარმოება იყო 2,235,405, სივრცით 1,327,253 ჰექტარი. 1-5 ჰექტარიანი 1,829,259, სივრცით 5,489,200 ჰექტარი. ესენია დამოკიდებული მეურნენი. ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელი მეურნეობა შეიცავს 43 მილიონ ჰექტარზე მეტს. ავსტრიაში 1895 წლის აღწერით არის 30,98 პროცენტი მწარმოებელი მეურნე, 1,16% მოჯამაგირე და 67,86% მუშა.

რაც შეეხება ინგლისს—აქ ხომ მთელი მიწა ადგილი რამდენიმე მემამულეს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი სოფლები ან ბოვანო, ან ფერმერაა. ერთი სიტყვით დასავლეთ ევროპაში გამრავლდა სოფლის ბოვანოთა რიცხვი. სოფლის ხალხის დიდი უმრავლესობა დამოკიდებულია უქირესობაზე და ცხოვრობს ან როგორც ამათი მოქირავე ან და როგორც ამათი მიწების იჯარადარი. ასეთ პირობაში მყოფი სოფელი რასაკვირვლია მეცადინეობს ამ მდგომარეობას თავი დაახწიოს და უკეთესი ცხოვრება მოიპოვოს. და რადგანაც ამ ცხოვრების მოპოვება სოფლით შეუძლებელია, ამიტომ ის ილტვის სოფლიდან ქალაქში, მეურნეობიდან მრეწველობა-ადგილ-მიცემობაში. და მართლაც ისინი თანდათან ტოვებენ მამა-პაპურ ხელობას, თანდას შორდებიან წინანდელ კერას და წარმოების ახალ დარგებში ებმებიან. ეს შეუჩერებელი მიდრეკილება ქალაქებისაკენ გრძელდება დღევანდლამდე და მოწინავე სახელმწიფოებში გამოიწვია მუშა ხელის გაძვირება, ბევრი მიწების შეუქმნავებლად დატოვება და სამეურნეო გაქირვების კიდევ უფრო გაძლიერება. ქალაქის მრავალ-ფეროვანი ცხოვრება და სოფლის დაბეჩავებული მდგომარეობა—აი მთავარი მიზეზი სოფლებითა სოფლის დატოვებისა. ავიღოთ ინგლისი. აქ უკვე მეურნეობაზე საუკუნის გასულს მცხოვრებთა ნახევარი ქალაქებში ცხოვრობდა. ხოლო მეოთხმოცე წლებში სოფლებითა რიცხვი ყველა მცხოვრებთა მხოლოდ ერთ მესამედს შეიცავდა. მაგ. აქ 1861 წ. სოფლები იყვნენ 37,7 პროცენტი; 1871 წ. 35,2; 1881 წ. 33,4; 1891 წ. კი—28,3. ასეთივე ჩქარის ნაბიჯით კლებულობენ სოფლის მცხოვრებნი სხვა ქვეყნებში. საფრანგეთში ისინი შეიცავდნენ 1876 წ. 51,4 პროცენტს, 1881 წ.—48,4; 1886 წ. 46,6. ხოლო 1891 წ. 45,5%. გერმანიაში სოფლებითა რიცხვი იყო 1882 წ. 42,51 პროცენტი, 1895 წ. 35,74, 1882 წ. აღწერით აქ მეურნეობაში ჩამბული იყო 19,225,455 მცხოვრები, 1895 წ. კი 18,501,307 მცხოვრები; მოიკლო შეიდას-ათასზე მეტი.

ვინ ტოვებს სოფელს? პირველ ყოვლისა რასაკვირვლია—დღიური მუშა. მისთვის სულ ერთია სად აიღებს ქირას—ქალაქში თუ სოფელში, ოღონდ ეს ქირა მეტი იყოს. მას სოფელთან აღარაფერი არ აკავშირებს, გარდა ჩვეულებისა და ტრადიციისა. ამიტომ მისი სოფლიდან გასვლა ძლიერ ადვილი და ხშირია. ინგლისში სოფლის დღიურ მუშათა რიცხვმა 1861 წლიდან 1891 წლამდის მოიკლო ოთხას ათასამდის ანუ ყველა მუშათა 31 პროცენტი. ამდენივე მოიკლო საფრანგეთში 1882-1892 წლებში, ხოლო გერმანიაში 1895 წ. შედარებით 1882 წლისა მათი რიცხვი იყო 254 ათასით ნაკლები. გარდა მუშებისა სოფლიდან გადიან მეურნენი, ამათში მეტი მამაკაცი, ვინემ დედაკაცი, მეტი ჯანით საცხე სრულ წლოვანნი, ვინემ ბავშვები და მოხუცები. მეურნეობა თანდათან რჩება ბავშვთა, მოხუცთა და დედაკათა ამართ. ავიღოთ, მაგ., გერმანია. აქ, როგორც ვთქვით, თუმცა როგორც მუშათა, ისე საზოგადო სოფლის მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს, მაგრამ დედაკათა რიცხვი კი მატულობს. 1887 წ. მეურნეობაში მომუშავეთა 30 პროცენტს ქალები შეადგენდნენ (სულ 2.534,909), 1895 წ. კი ისინი იყვნენ 33 პროცენტი (სულ 2.753,154); მოიმატა ორას ათასზე მეტი. ცხადია, დედაკაცი თანდათან დევნის მეურნეობიდან მამაკაცს და მის

ალაგს იქერს. მეურნეობა ამ სუსტ არსებათა სარბიელოთ გამხდარა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ამის გვერდით წარმოებს მეორე პროცესი. წლოვანნი ადგილს უთმობენ უწლოვანთ, ახალგაზდანი მოხუცთ. გერმანიაში მრეწველობასა და მეურნეობაში რიცხვით თითქმის თანასწორი ხალხი ჩამბული, მაგრამ სამაგიეროთ წლოვანების მიხედვით კი მეურნეთა რაოდენობა ძრივად დაბლა დგას. აქ სკარბოშენ ის მომუშავენი, რომელნიც არიან 14 წლის ნაკლები და 40 წლის მეტი, ე. ი. ბავშვები და ხანში შესულნი; დანარჩენები კი მრეწველობაში მეტია, ვინემ მეურნეობაში. პრუსიის მცხოვრებთა აღწერით ის პირები, რომელთაც წლოვანება 15-დან 50 წლამდეა, გაცილებით მეტია ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში, ვინემ მეურნეობასა და სოფლებში. სოფელში მეტია 15 წლამდის და 50 წელს ზევით მყოფნი. ავსტრიაში 1890 წ. აღწერილ სოფლის მუშათა რიცხვი იყო 5.615,133, ამით შორის ქალია 3.652,446—ნახევარზე მეტი! ასეთივე მოვლენა ხდება საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან.

ერთი სიტყვით, მეურნეობა სარუიანი აღარ არის. ამ დარგით თავის რჩენა გაქრვებულთა და ამიტომ მშრომელი და გამრჯელი ნაწილი მეურნეთა იძულებულია სხვა დარგებში ეძებოს თავის რჩენის წყაროები. მამაკაცის შრომა გაცილებით მეტათ ფასობს, ვინემ დედაკაცის; წლოვანის და ქაბუკის მეტათ, ვინემ უწლოვანოსი და მოხუცის. და აი, ეს ძვირი შრომა ვერ კმაყოფილდება მიწის მუშაობით, აქ ის შესაფერ ღირებულებას ვერ იღებს და მას გაუბრბის. მეორე მხრით, მარტივი და მკირე ღირსების შრომა კმაყოფილდება მიწათ-მოქმედებით, აქ ის ცოტას ღებულობს და ამითაც იოლით მიდის. მაშასადამე, წვრილი მეურნეობა ცოცხლობს სუსტ არსებათა დაჯახებით, დაბეჩავებით და დაუძლებლობით. სამეურნეო შრომა გაცილებით უფრო მკაცრა და მძიმეა, ვინემ სამრეწველო. იქ უმთავრეს როლს თამაშობს მუშის ძალ-ღონე, აქ კი მანქანა. მაშასადამე მეურნეობაში მომუშავენი დიდ ტვირთს ეწევიან, დიდ ჯაფას განიცდიან, მძიმე უღელს ატარებენ და, მიუხედავთ ამისა, ცოტას ღებულობენ. ამის შედეგია მათი ძალ-ღონისაგან დაცლა და დასუსტება. ამიტომ არის, რომ სოფლები ფიზიკურათაც თანდათან დაბლა ეშვებიან, ხოლო ქალაქელი თანდათან ღონიერდებიან. შვეიცარია ხომ გლვებთა კლასიკური ქვეყანაა, მაგრამ აქაც სოფლებითა ფიზიკური სისაღე არ აღემატება ქალაქელთა სისაღეს. 1884—1891 წწ. აქ იყო 241,076 ახალ გამოყვანილი სალდათა. ამათ შორის გლვებები იყვნენ 107,607.—ნახევარზე ცოტა ნაკლები. საერთო რიცხვთა 37% არ გამოდგა სამხედრო სამსახურისათვის; ამ დაწუნებულთა შორის პირველი ალაგი უქირავს გლვებთ, მეორე ქალაქელთ, მეორე მხრით, ქალაქში გაცილებით უფრო ჩქარა კლებულობს სიკვდილი, ვინემ სოფელში. მაგ., ინგლისში და ვალისში 1851—1860 წწ. ათას მცხოვრებზე მოდიოდა გადაცვალებულთა რიცხვი ქალაქში 24,7; სოფელში 19,4; მერე თანდათან კლებულობს ორივე რიცხვი, მარა არა ერთნაირათ: მაშინ, როდესაც პირველი 1890 წ. ჩამოვიდა 20,9, მეორე კი 17,4-ზე. პირველმა მოიკლო სამ ნახევარი, მეორემ სამზე ნაკლები. ეს ასეა ყოველგან, ყველა სახელმწიფოში.

ამგვართ, კაპიტალისტურ რეჟიმში სოფელში მოახდინა შემდეგი უმთავრესი ცვლილება: შეამკირა სოფლის მცხოვრებნი, მეურნეობიდან გარეკა ჯანსაღი მომუშავენი და გამრავლა ბავშვნი, მოხუცნი და ქალები; სოფლები დაამახინჯა ფიზიკურათ და გადაგვარების გზაზე დააყენა. მეტყვიან: მამ როგორ არის, რომ წვრილი მეურნეობა არა თუ კლებულობს, არამედ ალაგ-ალაგ კიდევაც მატულობსო. დიახაც მატულობს და ეს სწორეთ ასე უნდა იყოს.

რაკი სუსტნი და გადაგვარებულნი გაბატონდნენ მეურნეობაში—ცხადია ისინი აქ მცირე შემოსავლით ემყოფილდებიან. ოღონდ სული ჩაიპურონ, სხვას არ დაგიდევნენ. ისინი მუშაობენ ბევრს, შრომობენ დიდათ, მაგრამ სასყიდელს ღებულთა ბენ ნაკლებს, შემოსავალი არ უდრის დახარჯულ ძალ-ღონეს, ე. ი. ისინი ერთ ნაწილს თავის შრომისას მუქათათ აძლევენ საზოგადოებას და მით თვითონვე იყვლებენ თავის თავს. მასანადამე წვრილ მეურნეთა კონკურენცია სხვილთა წარმოებს პირველთა ვალტაჟებით, დაბეჩავებით და ბარბაროსობით.

აქ იგივე მოვლენა ხდება, როგორც ხელოსანთა შორის. ხელოსანი გულს არ იტებს, ცდალობს ფაბრიკას კონკურენცია გაუწიოს და მით წყალზე ფეხით გაჩერდეს. მარა რადგანაც ის ამ სანატრელ კონკურენციას საქონლის სისაღათ და სიიადით ვერ გასწევს—ამიტომ იძულებულია თავის თავის გაყვლეფას შეუდგეს და თავისი მოთხოვნილებათა შემოკლებით და თავისი ძალ-ღონის უდროვით გამოცლით შეინარჩუნოს დამოუკიდებელი არსებობა. აქ იმარჯვებს ბარბაროსობა და არა ხელოსნობა.

მიემართოთ მიწის წარმოებათა სტატისტიკას.

გერმანიაში ორ ჰექტარ ნაკლებიანი წარმოება იყო 1882 წ. 3.061,831, სივრცით 1.825,938 ჰექტარი; 1895 წ. კი 3.236,367, სივრცით 1.808,444 ჰექტ., ე. ი. რიცხვით ძრვიელ წვრილი (პარცელი) წარმოება გამრავლებულა, ხოლო სივრცით კი მოუკლია. ასეთ პროცესს ვხედავთ უპრავლეს კაპიტალისტურ ქვეყნებში და უნდა აიხსნას მრეწველობის განვითარებით და გლეხთა გაროლეტარიატებით. წვრილი ბურჟუა, ფაბრიკის მუშა, წვრილი ვაჭარი და სხვა ასეთი ხელობის ხალხი ძრვიელ ეტანება ქალაქ-გარეთ ცხოვრებას, პატარა საბოსტნე ადვილის შექმნას ან ქირაობას, შენობის აგებას და ლამ-ლამობათ და კვირა-უქმეობით სოფლის ჰაერზე მოსვენებას. ამას ხელს უწყობს განსაკუთრებით სწრაფი და იადი მიმოსვლა. ქალაქის კაცს ადვილათ შეუძლია დილა-საღამოს რამდენიმე ათი ვერსტი გაიაროს და ამით არაფერი დააკლდეს. ბელგიაში, მაგ., სადაც მრეწველობა და მიმოსვლა გამრავლებულია, პარცელთა რიცხვიც გამრავლებულია. აქ 1846 წ. ის იყო 400,517, 1870 წ. კი 709,566. საფრანგეთში ის (1 ჰექტარზე ნაკლები) 2.167,567-დან 1882 წ. ავიდა 2.235,405-მდე 1892 წ. სივრცის მომატებით, მხოლოდ ინგლისში ვხედავთ პარცელთა მოკლებას როგორც რიცხვით, ისე სივრცით.

მაგრამ ამგვარი წარმოება სრულყოფით არ არის მეურნეობის საძირკველი. პარცელი მიწის პატრონი თუ გლეხია, ის მეურნე აღარ არის, მის უმთავრეს შემოსავალს მისი მიწა არ იძლევა, პირიქით ამას სხვათა შორის აწარმოებს, თავი და თავი მისი შემოსავალი მისი დღის ქირაა. ცხადია, ასეთი უღები ვაპლორეტარიატების გზაზე დგას და მათი რიცხვის გამრავლება ბოგანოთა გამრავლებას ნიშნავს. ასე რომ, როცა მეურნეობაზეა ლაპარაკი, პარცელურ მიწათწარმოებას მცირე ალავი უნდა მივსცეთ; მეურნეობის საძირკველია ორი ჰექტარიდან დაწყებული მიწა და მთელი ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული; სამეურნეო მოვლენა აქ იჩენს მთელ თავის მნიშვნელობას. ამ ჯურის წარმოება კი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირათ ვითარდება. მაშინ, როდესაც გერმანიაში ის რიცხვით და სივრცით მატულობს, საფრანგეთში კლებულობს.

გერმანიაში 2—5 ჰექტარი იყო 1882 წ. 981,407, სივრცით 3.190,203 ჰექტ., 1895 წ. 1.016,318, სივრცით 3.285,984 ჰექტ. 5—20 ჰექტარიანი წარმოება იმა წლებში იყო 926,605, სივრცით 9.158,398 ჰექტ. და 998,804 9.721,875 ჰექტარით, 20—100 ჰექტარიანი რიცხვით—281,510-დან ავიდა 281,767-

მდე.—სივრცით 9.721,875-დან 9.869,837-მდე. ხოლო დიდი წარმოება ას ჰექტარზე მეტი იმავე წლებში იყო 24,991 და 25,061, სივრცით 7.786,263; 7.831,801. აქ, როგორც ვხედავთ, გლეხთა ყველა კატეგორიის წარმოება გამრავლებულია რიცხვით და სივრცით, თუმცა არა ერთნაირია. მრავლობა პარცელური, საშუალო და დიდი მეურნეობა უფრო სწრაფათ ვინემ მათ შუაში მოქცეულნი. სულ ერთიანათ 1881—1895 წწ. მომატა 281,000 სამეურნეო წარმოება, მაგრამ ამათში 206,000 არის პარცელური ანუ პროლეტარული წარმოება. დანარჩენთ გლეხთა წარმოების გამრავლება გამოწვეულია არა გლეხის კარგის მდგომარეობით, როგორც ზევით ვთქვით, არამედ პირიქით, მისი სიღატაკით და დაბეჩავებით. გერმანელი გლეხი კულტურულათ უკან დგას ვინემ ფრანგი გლეხი, ის მეტს მოითმენს, აიტანს და იკადრებს, ვინემ მეორე და ამიტომ მეურნეობის მძიმე უღელს დიდათ არ თაკილობს. სულ სხვაა ფრანგი. ის ცდალობს ბარბაროსადი არ ჩამოქვეითდეს და მოთხოვნილებანი არ შეამციროს. ხოლო თუ კი ამას მეურნეობით ვერ იქმყოფილებს, მას ტუვენს და სხვა დარგში გადადის. ამასვე ამტკიცებენ ციფრები. აქ გლეხის წარმოება კლებულობს რიცხვით (გარდა ერთი კატეგორიისა) და სივრცით. 1-5 ჰექტ. წარმოება იყო 1882 წ. 1.865,828, 1892 წ. 1.829,259; (-36619); სივრცე იმავე წლებში 5.597,643 და 5.489,200 ჰექტ. (-108,434); 5—10 ჰექტარიანი 769,152 და 788,299 (+19,147); სივრცე 576,864 და 575,500 (-131,40). 10—20 ჰექტარიანი იყო 727,222 და 711,118, (-16,104); სივრცე—14.845,650 და 14.313,417 (-532,243); 40-ზე მეტი ჰექტარი იყო 142,088 და 142,000 და 139,000 (-3000), სივრცით 22.296,105 და 22.493,343 ჰექტ (+197,288).

აი მიწათმფლობელის ტაპიური განვითარება, აი მიწის აშკარა და უკულო კონცენტრაცია მიწის ერთ ნაწილი წვრილმანდება და პარცელათ ხდება, მეორე ნაწილი კი გროვდება და დიდი მემამულის ხელში გადადის ე. ი. სოფლან ხალხის უმრავლესობა პროლეტარიატდება, ხოლო უმცირესობა მდიდრდება.

დაახლოვებით ასევე ხდება ბელგიაში. აქ 1866 წ. 2—5 ჰექტარიანი წარმოება იყო ყველა წარმოების 15,1%, 1880 წ. კი 12,1%. 5—20 ჰექტარიანი იმავე წლებში იყო 11,1 და 8,2; 20—50 ჰექტარიანი 2,0 და 1,3; ხოლო 50 ჰექტარზე და ზევით 0,7 და 0,4. აქედან ცხადია რომ ბელგიის სამეურნეო წარმოების ყველა კატეგორია შემცირებულია, სამაგიეროთ პარცელები გამრავლდნენ, რაც, როგორც ვთქვით, ნახევარ ბოგანოთა გამრავლებას მოასწავებს და მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება ინგლისს—აქ ვხედავთ საშუალო წარმოების მატებს, ხოლო პარცელის და დიდი წარმოების მოკლებას.

ყველა ამ ციფრების შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ გამოთვლილია რიცხვი სამეურნეო წარმოებისა და არა საკუთრებისა. ასე რომ ერთს შეუძლია ქონდეს რამოდენიმე წარმოება, ან ერთი წარმოება ეკუთვნოდეს მრავალს. ან და შეიძლება დიდმა მემამულემ თავის მამული დასქრას და სხვადასხვა პირს იჯარათ მისცეს. ამით მოიმატებს რიცხვი წარმოებათა, თუმცა საკუთრება სრულიად არ გამოცვლილია, როგორც ეს განსაკუთრებით ინგლისშია. აქ საშუალო წარმოებათა რაოდენობა მოიმატა, რაც ამტკიცებს მოიჯარეთა გამრავლებას და დიდი მამულების საიჯაროთ დაქრას. ეს სჩანს იქიდანაც, რომ აქ ყველა მიწების 84,5 პროცენტი იჯარათაა ვაცემული; ესენი რომ გლეხის საკუთრება იყოს—მაშინ ის თვითონ დაამუშავებდა და იჯარაც ამდენი არ იქნებოდა. ვიმეორებ, ყველა ეს ციფრი აჩვენებს წარმოებათა

რაოდენობას და არა საკუთრების რიცხვს. საკუთრების სტატისტიკა არსათ არ არსებობს. ეს ციფრები გვასწავლის მხოლოდ იმას, რომ ზოგან წერილი წარმოება (და არა წერილი საკუთრება) მატულობს, ზოგან კი მსხვილი. პირველ შემთხვევაში მატულობს, რასაკვირველია, მეურნეგლეხთა რიცხვი, მეორეში კი კლებულობს, მაგრამ რას ნიშნავს ეს მატება — ჩვენ ზევით გავარკვიეთ, ეს არის მატება ქალთა, მოხუცთა და ბავშვთა. დედაკაცი, რასაკვირველია, დიდ წარმოებას ვერ გაუძღვება, ის საჭიროებს წერილ წარმოებას, რომ სული ჩაიბუროს და მიუცილებელი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

რომ წერილ მეურნეობის გამრავლება ნიშნავს წერილ მეურნეთა სიღატაკეს და დაბეჩავებას — ამას სავსებით დავინახავთ შემდეგ წერილში*).

გ. მარმალაძე.

შეცდომის გასწორება: მეცხრე წერილში შემდეგი კორექტირული შეცდომებია: მე-148 გვ. დაბეჭდილია: „გლეხი მიწასაც ძვირათ ყიდულობს და ფულსაც ძვირათ ხმარობს“, უნდა იყოს „ხმარობს“ მაგიერ სესხულობს.

დაბეჭდილია: „დასავლეთ ევროპაში გლეხობის უმრავლესობა უკვე დამოუკიდებელი გახდა“ უნდა იყოს „უმრავლესობის“ მაგიერ „შესამჩნევი ნაწილი“.

მიწის სიმყივრე ჩვენს გლეხობაში

საინტერესო მოხსენება**) წაიკითხა ჩვენს სამეურნეო საზოგადოებაში 11 თებერვალს ბ. გოგინაიშვილმა ამიერ კავკასიის გლეხობის მიწის ნაკლებობის შესახებ. როგორც ავტორი იწყებს თავის მოხსენებას, რუსულ მწერლობაში ხშირათ მეტათ უსაფუძვლო აზრი გამოითქმის ხოლომე ჩვენებური გლეხების მიწის რაოდენობის შესახებ: გონიათ, რომ ამიერკავკასიის გლეხები ბევრათ უფრო უზრუნველყოფილი არიან მიწით, ვიდრე შიდა რუსეთისა, გონიათ აგრეთვე ისიც, რომ აქ თავისუფალი მიწა იმდენია, რომ ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებას სჭარბობს და ამით ამართლებენ შიდა გუბერნიებიდან უმიწაწყო გლეხების ჩვენს მხარეში გადმოსახლებას. ბ. გოგინაიშვილის მოხსენება ნათელყოფს, რომ ეს აზრი ყოველათ უსაფუძვლოა, და ჩამოსაგლებით გამართლება შეიძლება სხვა რამე მოსაზრებით, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ მიწის განაწილებასთან. 1897 წ. აღწერა ნათლათ ამტკიცებს, რომ ჩვენში ბევრათ მეტი სივიწროვეა, ვინემ რუსეთში.

მისაღება მხსდველობაში ის გარემოება, რომ რუსეთში უფრო განვითარებულია მრეწველობა, ვიდრე ჩვენში; ამას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ მიწის ერთ და იმავე სივრცეს იქ მეტი მცხოვრების გამოკვება შეუძლია, ვიდრე აქ, რადგან აქ მცხოვრებთა დიდი ნაწილი სსოფლო მეურნეობის გარეთ პოვნებს თავის შრომის გასავალს და ცხოვრების საღსარს. მართალია ქალაქის მცხოვრებთა % რუსეთში და ჩვენში თითქმის ერთი და იგივეა — იქ — 12,8%, ჩვენში 12,4 — მაგრამ ჩვენი და რუსეთის ქალაქების ეკონომიური მნიშვნელობა უმთავრეს შემთხვევაში სულ სხვადასხვაა. თუ იქ ისეთი განვითარებული ქალაქებიც კია, რომელნიც რამდენიმე ასია-

*) აქ მოყვანილი ცნობები ამოღებულია გობსონის „Эволюция современнаго капитализма“, ჰოლცის „Аграрный вопрос“ და წინა წერილში დასახელებულ წყაროებიდან.

**) ეს მოხსენება იბეჭდება სამეურნეო საზოგადოების გაზეთში და ცალკე ბროშურათაც გამოვიდა. ცნობები ავტორს ამოღებული აქვს თ. მ. ვ. მაჩაბელის შრომიდან, რომელიც მართლა საგულისხმო ცნობებს იძლევა გლეხთა ცხოვრების შესახებ, მაგრამ სამწუხაროთ მათი არაფერი უნდა იცოდეს ბ. ტფილისელმა.

თასს მცხოვრებს კვებავენ, ჩვენში ისეთი ქალაქებიც არის რომელთა მცხოვრებლების ნაწილი დღესაც სასოფლო მეურნეობით ცხოვრობენ უმთავრესათ. და თუ ამ გლეხობის მივიღებთ მხედველობაში, მაშინ კიდევ უფრო მკაფიო დასახლებულია აღმოჩნდება ამიერ კავკასია რუსეთთან შედარებით.

მესამე მოსაზრება, რომელზედაც ავტორი მიაქცევს ჩვენ ყურადღებას, არის უვარგისი მიწების რაოდენობა. ყველასთვის აშკარაა, რომ ჩვენი კლდე-ღრვებით, კორტახ-მთებით მოფენილი მხარე მდიდარია მეურნეობისათვის უვარგისი მიწებით, გასახსენებელია აგრეთვე ის თვალუწევნელი მინდვრებიც, რომელნიც დაუმუშავებელი რჩებიან მოურწყველობის გამო. ავტორის გამოანგარიშებით, თუ რუსეთში ამისთანა გამოუსადეგარი მიწები შეადგენენ მთელი სივრცის 19,1%, ჩვენში ბევრათ მეტი უნდა ვიანგარიშოთ.

ამ რიგათ, აუცილებელი ხდება, რომ ამიერ კავკასიის გლეხობას უფრო ნაკლები მიწა აქვს, ვიდრე შიდა რუსეთისას. მაგრამ კიდევ უფრო უხედას ხაზს ამ მოვლენას ის გარემოება, რომ ჩვენში გლეხებისთვის უფრო საზიანოთ არის განაწილებული მიწა მათსა და სხვა წოდებათა შორის თუ რუსეთში ხაზინისა და კერძო მიწათმფლობელთა ხელში მთელი რაოდენობის 62,5% ჩვენში — 70,6%, მართლაც და მეტათ საინტერესოა ის ცნობები, რომელნიც ავტორს მოყავს კომლთა შორის მიწის განაწილების შესახებ, მაგრამ უადგილობის გამო სრულათ ამ ცნობების მოყვანას ვერ ვახერხებთ. რუსეთში თითო კომლზე მოდის 13,2 დესიატინა ყოველგვარი მიწის.

ჩვენში კი 37 მაზრაში სახელმწიფო გლეხებს 18 წლას წინეთ ქონებით:

12 მაზრაში მთელი გლეხობის	18.8%	-3	დეს.-დეკაჰლს
11 " " "	33.5%	-6	" "
13 " " "	44.6%	-10	" "
1 " " "	31%	-15	" "

დღეს კი ამიერ კავკასიის გუბერნიებში გამოსადევი მიწა აქვთ ამავე კატეგორიის გლეხებს:


ქუთაისის გუბერნიაში	3.36	დეს.,	სახსაკი	კა	1.92	დესეტრანა
ტფილისის	10.92	"	"	"	4.92	"
ერევნის	10.97	"	"	"	6.25	"
განჯის	11.82	"	"	"	6.38	"
ბაქოს	11.00	"	"	"	6.82	"
ითხათ ამიერ კავკასიაში	10.46	"	"	"	5.34	"

ყველაზე ნაკლებ, როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, უზრუნველყოფილი არიან მიწით ქუთაისის გუბერნიის გლეხები (სახსინო).

დრუბათ გადგებულ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უარესია. ამ კატეგორიის გლეხთა შესახებ მხოლოდ ტვალისის ბუბერნიაზე არის ცნობები, რომელთაგან ჩანს, რომ თითო კომლოს დღეს უნდა ქონდეს 1.69 დესეტრანა გამოუყადველი იწა (ყოველგვარი).

სახსნუს აქვთ თბილისის გუბ. 3.60 დესეტრანა, ქუთაისისა — 1.93 დეს. ყოველგვარი მიწისა.

მესაკუთრე გლეხებს აქვთ ქუთაისის გუბ. 2.52 დესეტრანა (ყოველგვარი მიწა) თფილისისაში კი კი 11.40 დეს. უკანასკნელი ციფრი მეტათ საეჭვოთ მიაჩნია ბ. გოგინაიშვილს. ეს ციფრი დამყარებულია აღმანატრატორის ცნობებზე. მართლაც თუ ამას შევეუფარდებთ თვით ბ. გოგინაიშვილის მიერ შეკრებილ ცნობებს გორის მაზრის შესახებ, დავინახავთ, რომ იგი ძლიერ დაშორებულია სინამდვილეს. მისი ანგარიშით გორის მაზრაში თითო კომლზე მოდის ყოველგვარი მიწა:



ქვავლი
საბჭოთაო

სახაზინო გლეხებს	—	2.14	დესეტინა
დროებით ვალდებულთ	—	2.32	"
ხიზნებს	"	3.40	"
მესაკუთრე გლეხებს	—	1.41	"

ყველა ამ ციფრებიდან ავტორს გამოყავს, რომ ამიერ კავკასიაში გლეხთა კატეგორიების და მიწების ხარისხის განურჩევლათ კომლზე მოდის:

ქუთაისის გუბ.	2.71	დეს. მიწა, დასამ.	გამოსადეგი კი	2.69
თბილისის	10.10	"	"	8.18
ვანჯის	10.22	"	"	9.92
ერევნის	12.11	"	"	8.16
ბაქოს	12.70	"	"	10.25

ასეთია ბ. გოგირაძის მიერ წარმოდგენილი სურათი ჩვენებური გლეხების მიწის მფლობელობის მხრით. თუ ავტორთან ერთად ჩვენც მივიღებთ, რომ გლეხის ოჯახის მართლ სასოფლო მეურნეობით საცხოვრებლათ საჭიროა 15 დესეტინა დასამუშავებელი მიწა და ჩვენში კი ხშირათ ამის ნახევარი არა აქვთ (იმერეთში მეშვიდედიც), ადვილათ წარმოდგენთ რა გაჭირვებაში ყოფილა ჩვენი გლეხობა. ვინც ამ ცნობებს დაუკვირდება არ გვგონია კიდევ თქვას რომ ჩვენი გლეხები უზრუნველყოფილი არიან მიწითო. თუ ამის თქმა ადვილი ასახსნელია გარეშეთა მხრით, რომელთაგან ერთ ნაწილს „პოლიტიკა“ ალაპარაკებს და მეორეს უეცილობა, წარმოდგენელი და გაუგებარია იმათი მხრით, რომელნიც ჩვენი ხალხის გულშემატყვიარათ სახავენ თავს და მდგომარეობითაც ვალდებულნი არიან იცოდნენ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ასეთია მაგალითათ ბ. თფილისელი.

ყველა უნდა დააფიქროს ასეთმა გარემოებამ და აძებნილოს საშეაღება ამ გაჭირვებიდან თავის დასახსნევათ, ასე მოაქცა ბ. გოგირაძის მიერ, რომელიც შევლას ელის: 1, თფილისში სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილების გახსნისაგან, რომელმაც ეროვნების განურჩევლათ უნდა დაეხმაროს ყველა მსურველს (გლეხებს) ადგილის შეძენაში.

2. დაეთმოს მცირე მიწა-წყლიან ადგილობრივ მკვიდრ გლეხებს თავისუფალი სახაზინო მიწები იმავე პირობით, როგორც რუსეთის მკვიდრთ

და 3. დაეხმაროს მართებლობა ახალ მოზინადრე გლეხებს კრედიტით ინვენტარისა და სხვათა შესაძენათ.

სწორეთ ეს პრაქტიკული ზომები მიგვაჩნია ჩვენ სუსტათ ბ-ნ გოგირაძის მოხსენებაში.

6—ელი.

(დასასრული იქნება)

სხვადასხვა ამბები.

თფილისის გუბერნატორის განკარგულებით 1-ლ ლამის თავშესაფარის გამგე ბ-ნი დავითიანი, დაპატიმრებულ იქნა, რადგან საადრესო სტოლისათვის არ მიუცია ცნობები თავშესაფარში მდგმურთა შესახებ.

ქალაქის გამგეობას, რადგან განსაკუთრებული კანონები არსებობს ლამის თავშესაფრებისათვის, შუამდგომლობა აღუძრავს რომ დავითიანი განთავისუფლებულ იქნეს და შემდეგშიც არ მოეთხოვოს მას ცნობები თავშესაფარში მცხოვრებთა შესახებ.

ტფილისელ ვაჭრებს შუამდგომლობა აღუძრავთ ქალაქის გამგეობის წინაშე, დაგვიბრუნეთ ის გადასახადი, რომელიც 23 თებერვალს ბაზარში ვაჭრობისათვის გამოგვერთვა, რადგან ამ დღეს ჩვენგან დამოუკიდებელ მიზნების გამო ვა-

ჭრობა შესწყდა, ან და ის გადასახადი 2 მარტის გადასახადში ჩავვირიცხეთო.

თფილისის შუაგულში ორათ-ორი ბაღი-საფარი-როვისა და პუშკინის, სადაც ხალხი კვირა-უქმე დღეებში სეირნობს, მაგრამ ხშირათ კვირაობით დაკეტილია ხოლომე ეს ბაღები; მაგ. უკანასკნელათ სამი კვირა ზედი-ზედ ბაღები დაკეტილი იყო, და ქალაქის თვითმართველობა ამას ყურადღებას არ აქცევს. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოსაზრებით ტოვებს ბაღს დაკეტილს ქალაქის თვითმართველობა?

უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია, მდგომარე წლის პირველ ივნისიდან გააუქმოს ის საჯალდებულო გადასახადი, რომელიც ერთმოდათ საქონლის პატრონებს საქონლის ქირთან საბრძოლველათ.

ორშაბათს 3 თებერვალს თფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგი ბ. ლეშერმანი ბაქოს წავიდა საქმეების გამო.

მარტის შუა რიცხვებში შეუდგებიან სახალხო სახლის აგებას დიდი მთავრის ქუჩაზე. ეს სახლი ზუბალოშვილის მემკვიდრეთაგან შეწირული ფულით შენდება.

თფილისის გუბერნატორს „კავკასის“ სიტყვით, გადაუცია პოლიცემისტრისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესდება მაგდალინელს თავშესაფარისა და საქველმოქმედო საზოგადოების, რომელიც იქვე არსდება. წესდება მალე საზოგადოების დამფუძნებელთ გადაეცემა.

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ კიოსკს მიმდინარე წლის ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მომწერთაგან 3,000 მანეთზე მეტი შემოსვლია; აქედან კიოსკის სასარგებლოთ დარჩენილა საკომისიო 70 მანეთამდის.

ამავე ამხანაგობის გამგეობას მოსვლია დასაბეჭდათ თარგმანები: „აღდგომა“ ლ. ნ. ტოლსტოისა, „თოვლ-ყინულთა სამეფო“ ლუნკევიჩისა და „ძმანი მხატვარი“ ქ-ნ არხანგელსკისა.

ქუთათურ ქალთა ერთ წრეს განუზრახავს ქართულათ გადმოთარგმნოს და გამოსცეს სამხრეთ-აფრიკის ბრძოლის ისტორია, დევეტის თხზულება.

ქუთაისის წვერთ თფილ. „წ.-კითხვის საზოგადოებისა“ განუზრახავთ 1 მაისს ფერმაში სეირნობა გამართონ ამ საზოგადოების სასარგებლოთ. 1) ამავე პირებს ამოურჩევიათ რამოდენიმე პირთაგან კომისია წვერთა შორის საწვერო ფულის მოსაკრებათ.

9 მარტისათვის დანიშნულია კრება დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განახილოს წარსულის წლის ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა ამა მიმდინარე წლისა და სხ. უნდა აარჩიონ აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარე, წვერები, მათი კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრი. სხდომა დაიწყება დილის 11 საათზე, ამხანაგობის სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

ბაქოში სასამართლოს ამ დღეებში გაუჩინებელი საყურადღებო საქმე რომელიც შეეხებოდა ბელახან-სახელმწიფოს პოლიციისა და რკინის გზის მოსამსახურეთა წესდების. ამ საქმის განმოსაძიებლად მთავარმარტოებელს ბაქოში საგანგებო საქმეთა მოხელე გაუგზავნია. 20 მოსამსახურეს ბრალი ედებოდა, რომ იმათ არ შეასრულეს პოლიციის მოთხოვნები. რომლებიც მოსამართლეს ყველანი გაუმართლებია...

„ასტრ. ველ“-ში დაბეჭდილია მოწმობა, რომელიც მიუყვია მაზრის უფროსს ერთს ქალისათვის. აი, შინაარსი ამ მოწმობისა: „მიეცა მოწმობა ესე ცარიცინის მოქალაქის ცოლს ლუკერია ფირსუკოვას, რომ იგი ქალიწმი ცხოვრობს ერთ წელიწადზე მეტს, აქვს საბრძანებო სახლი, დღემდე არავითარ საექვეო საქმეში შენაწილი არ ღოფილა, არ ეკუთვნოდა არავითარ საიდუმლო საზოგადოებას, სამართალში არ ყოფილა მცდარი, პირიქით, იგი კვირისა და კარგის ყოფაქცევისაა, რასაც ვამოწმებ და ბეჭედს ვასომ“...

ჩვენ მივიღეთ ახლი პოპულიარული ბროშურა: „უჯრათა სამეფო“, თხზულება ფ. კონისა, თარგმანი გ. შავდისის. წიგნში ნნ გვერდია და ღირს ორი შაური.

კორესპონდენციები.

აფხაზეთი. (მიწითელკბიჭობა, გადასახადები, უცხოობა, სოფლის სამეციტნობა, ახრებუდი აშბავი). როგორც მეთხველებს მოქსენება, საკუთრივ აფხაზეთში, გარდა ორი სასოფლო საზოგადოების:— ღობისა და ფოქეშისა— საზოგადო მიწითელკბიჭობაა, ესე იგი თვითოეულ სოფლის საზოგადოებას აქვს საკუთარი საზოგადო მამული—სამოსხდო, სახნავ-სათესი, საბაღა და ტყე. თუ რაში მდგომარეობს საზოგადო მიწითელკბიჭობა, ეს ვეგლას მოქსენება და ამიტომ აქ მის შესახებ არაფერს ვიტყვი. მხოლოდ უნდა შევნიშნო, რომ აფხაზეთში საზოგადო „შლანში“ თავდაზნაურთა წილი აქვთ, როგორც თვითონ გლეხსა, თუმცა აქ თავდაზნაურთ თვითოეულს ცალკე კერისა, თუ სამსახურის მიხედვით მიეკომთ კერძო საშვილიშვილო საკუთრებათ მამულები, „შლანები“. თუმცა კანონით განსაზღვრულია, თუ თვითოეულ მსახურს შეუძლიან ისარგებლოს საზოგადო მამულთა როგორ და რამდენით, განნა კანონი კანონთ რჩება, ცხოვრება კი თავისას შერება: სარგებლობს საზოგადო ქანებით ის, ვისაც მეტი შეძლება და დონე აქვს და ამისთვის კი არავითარს დანას, ან ზედმეტ გადასახადს არ იხდის. თავდაზნაურობა და შეძლებული გლეხები ღარიბ ხალხთან შედარებით მეტს სარგებლობენ: საბაღას რომ თავი დაუხანებოთ, სახნავ-სათესი და მთ უფრო ტყე მათ სახრავათ გადაქცეულია—აშენებენ სახლებს, ედიან ჩუმი-ჩუმათ ხის მასალას საზოგადოების კარკმე, შეშას უანგარიშოთ ეზიდებიან და სხვა და სხვა.

აფხაზეთი უცხოობით განთქმულია. მთელს აფხაზეთის ისე შემოაბრთ, რომ ვერც ერთ სოფელში გზათ რომ უწოდო, იმისთანა გზას ვერ ნახავთ. ამ მხრივ აფხაზეთი ჭაფურჭულია ზამთრობით: აქ სიარული არამც თუ ფეხით, ცხენითაც შეუძლებელია. ამ საჭირობათს საქმეს უურადლებას არაინ აქცევს. ის ერთ-ერთი გზატკეცილი, რომელიც აერთებს ქუთაისის გუბერნიას ქადაქ სოხუმთან, წარმოუდგენელ მდგომარეობაშია, ამ გზით არავითარ ეტლს არ შეუძლია ზამთრობით სიარული. ერთი ნაწილი ამ გზისა—სოხუმიდან მდინარე კოდორამდის 20 ვერსტის მანძილზე გარანია იყო და ამ გზაზე მუშაობდა შვიდი თუ რვა დიდიფანი, აუარებელი ურშები, ეტლები, დროკები და სხვა, და ადგილობრივ მთავრობაც ცოტადღენ უურადლებას აქცევდა მისს შეკეთებას.

სამწუხაროთ, ამ უკანასკნელ დროში ხელი აიღო მასზე და მდ. მაჭარადგან სოფ. დინდამდის გზა ერთიან ღაფათ არის ქვეული მთელმა ზემო აფხაზეთმა, უცხოობით შექმნილია, შეიქმნა—რა თავი და განახენი დაადგინა—გაიღოს ფული—უფლებს სოფელში თითო გზა-ტკეცილი გაეყვანოს. ეს განახენი დასამტკიცებლათ მთავრობას წარედგინა, მთავრობამ კახების გაყვანა საჭიროთ იცნო, მხოლოდ ფულის გადასახე და იჯარით გაცემასზე უარი უთხრა საზოგადოებათ: თითონ თქვენ გააკეთეთ, ამით კი საქმე შეფერხდა,—აფხაზს თავის საქმედ ვერ გაუგებებია, არა თუ საზოგადო-სასოფლო საქმე! თავისი ხსიათა იცოდენ აფხაზეთმა, რომ დაადგინეს ფული გავიდოთ...“

ამ უკანასკნელ შვიდი რვა წლის განმავლობაში სოფლათ აფხაზეთში სოკოსავით გამრავლდა სამეციტნობის, ფართლისა და სასაკლავინო საჯარო დუქნები და არც არავინ ხელს არ უშლიდა სოფლის წარ-ბეჭადებს; მხოლოდ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ადგილობრივმა პოლიციამ გაუჭირა საქმე მიეციტნებს. ამ უკანასკნელთაგან წარმოდგენილი განახენი, რომლითაც სოფლის საზოგადოებანი ნებას მოაუდენ თავთაგანთ საზოგადოებაში ვაჭრობისას, პოლიციამ არ დასამტკიცა და არ მისცა „მატენტის“ ადების ნება. ტყუდა საზოგადო საზოგადოება, მაშა ვერას გაქდენ. მერე ზოგიერთმა მიმართა ხრავს: პოლიციის ნებადაურთველათ საქმიანობა მიგობიდან საჭირო ნებადრთვა იდეეს და განაღდეს თავიანთი ვაჭრობა. დაბოლოს მაინც მთავრობამ თავისი გაიტანა და თითოეულ საზოგადოებაში თითო სამეციტნოს განხნის ნება დადო. აი ახლა უფრო გამწვავდა ქიშხობა აუარებელ მიეციტნათ შორის. კინ იქნება უფრო ბედნიერი, მე თუ შენ! არავითარ ხარჯსა და შრომას არ ერიდებიან, თანდა ეს ერთხინი „მონობლია“ ჩივიდენ ხელში. მასთან ეს შეჯობრება, უფრო რომ ვთქვათ „ტორეა“, აშკარათ ხდება. მაგ., რის მატარს ახლმენი, ზოგჯერ ედებოთ დასახლებული, ჩვენებურათ „წიბინ“ (წება), „Дранды“-ათ მონობლია. აი აქურ მელექნეთა შორის გაიმართა ვაჭრობა და ერთმა 412 მანეთით სოფლის საზოგადოებისაგან შეიძინა „განახენი“, რომელიც მატენტის ადების ნებას მოაუდენ... რასაკვირველია, ეს 412 მანეთის იმავე საზოგადოებისაგან დაიბრუნებს მეკსმურ შრომენტიოთ საზოგადოთ ეს ახირებული „მონობლია“ სოფელს რჩეულ და, მისი აზრით, ბედნიერ კაცის მსხვერპლად ხდის...

ამ მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია მაქსიმოვის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები. საქმე იმაშია, რომ წრეგანდამდე მუშებს ქონდათ საშუალება სისხლითა და ოფლით ხამოვნა გროშებით ეტხოვრათ თავიანთ ნებაზე, რადგანაც ქარხნის ახლო-მასლო ბუერი სამეციტნობები და სასადილოები იყო გამართული. მართალია მას, მუშას, არაფერი ჩნებოდა და მისი ოფლით და სისხლით საშოვნა გროშები ისევე მიეციტნის ჯიბეში ჩადიდა, მაგრამ აქ სამეციტნოს აჩრევის უფლება მისცეს ქონდა: ერთი მიეციტანი არ მოეწონებოდა, მეორესთან დაიწებოდა ხარჯვას. წრეგანდამდე წელიწადმაკი ეს უფლებაც წართვა: ვაჭრობის ნება დართეს მხოლოდ ქარხნის დუქსს, რომელიც, მიუხედავად კანონისა, მაჯარ სასმულებითაც ვაჭრობს. მასთან დუქნის მოჯარადრეს აქვს ადებული ხსენებულ ხე-ტყის ქარხანაში უმთავრესი სამუშაო და ამ რიგით მთელი კვირა სწავალი მუშა ოფლის ღრასშია, შაბათს კი—ხარჯში „კამოეჩოთქავენ“! ასეთი მშვენიერი წესებია მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხანაში!

ერთი აშბავიც. ერთ ახლგაზდა ემაწვილს მოეწონა და შეუყვარდა ერთი ახლგაზდა გასათხოვარი ქალი, მეზობლის ასული. შეყვარებულთა საუბედუროთ, ესენი სხვადასხვა წოდებას, რუსის კანონით არ ცნობილს წოდებას ეკუთვნიან: ქალი „წმინდა“ გლეხის შვილია, კაცი კი—ხეშევის შვილი შეყვარებულმა იცოდენ, რომ ქალის მშობლები და მათთან ერთად „წმინდა“ გლეხები ნებას არ მისცემდენ შეუღლებისას და ამიტომ ისინი გაიპარენ. და ვაი საკვირველებს! ასტყუდა ერთი ალიაქოთი, როგორ თუ ხეშევი-

მა ქალიშვილი წავკარგეთაჲ ცაიუა სოფელი არ ხაწილათ: ერთ მხარეს წმინდა გლეხები, მეორეს—ხაყულები. ჭერ-ჭერობით ლელო წმინდა გლეხებს დარჩათ: რადგან სრიკებით და შავ-ბნელ ძალების დასმარებით ხაყულებს ქალი წაართვეს, თუმცა ეს უკანასკნელი ცხვირებიანს იხივს და სტირის: „იმის მეტი სხვა არაფერ არ მინდა ქმრათ, გინდ ახან-იფა (წარჩინებულ თავადიშვილთა გვარია) იყო-სო!“ მაგრამ მის სიყვარულს და სურვილს ვინ აქნევს ურადღებას, ფაღონდ წმიდა გლეხთა «სისხლი» არ წაიღეს, არ დამცირდეს ხაყულების სისხლის შეტევით. სწავლი ვაჟი გახელებული ტყე და გელათის გაკარდნილი და დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა, რომ სთქვას კაცმა: ან ვინმეს მოკლავს, ან ვინმეს თავს შეაკლავს!

დროებით სობუშელი.

ჭუთაისი, ქალაქის საქმეები. როგორც სავსებოა, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაო დღის გაწესების საქათხი დღეს დღეობით მთელ რუსეთში დიდი ურადღება აქვს მიმდინარეობა. იგი უმადლეს საკანონმდებლო დაწესებულებებიდან—სამინისტროებიდან მოყოლებული სხვადასხვაგვარ სამეცნიერო საზოგადოებებში, კრებებსა და ქალაქის თვითმმართველობებშიც ბჭობის დროსათ იცნეს.

ამ მიმდინარეობამ თან ჩაითრია წმინდადნით ქუთაისელი და ეს კითხვა აქაც იჩინა ხელმე თავს ამ თუ იმ დაწესებულებაში. ეს სხვათა შორის წამოაყენეს ქალაქის თვითმმართველობაში და შეუდგენ სხვას ნოქრების კვირა-უქმე დღეებში დანებების შესახებ. სხვაგან თუ საქმედღებში სამუშაო დღის შემოკლებაზე ცდილობენ, აქ ნოქრები უქმე დღეებში დასვენებას კმუდარებთან «ხა-სეანებს». ეს მუდარა კი, როგორც სხვაგან, ქუთაისშიაც «არ ახალია ძველი», აქაც კი ხანია ნოქრებში დაწყებულია შეტევა თავისი უფლების. საბჭოშიც ეს საკითხი არა ერთხელ და ორჯერ უმოფილა სთათბარო საგნათ. სიმა წლის წინ საბჭომ დადგინა შემდეგი: სავაჭრო დუქნები და მალაზიები კვირა დღეებში იღებოდეს 12-დან 3 საათამდე და სხვა უქმეებში 12-დან 6-და მარა ეს სავსებით ვერ განხორციელდა. ვაჭრები ისევ ძველებურათ ვაჭრობდნენ და ნოქრების დასვენებას არ დასდევდნენ, აი ამ მდგომარეობას ურადღება შიამქიანს ისევ ნოქრებმა და ზოგმა ვაჭრებმა, რომელთაც საბჭოს თხოვნით მიმართეს. ისინი ამბობენ: ამ დადგენილებაში, როგორც კვირებზე ვი წლის გემოცდილებამ, ვერ მიადწინათვის მიხანს და ვაჭრები ისე, როგორც ნოქრები ასეთ დადგენილებით უკეთესათ ვერ გრძნობენ თავს. საქმე ასია, რომ დღესაც გარდა 5, თუ 10 კაცისა, ვაჭრობა უქმე დღეებში მანაც არსებობს უკანა ვაჭრების წყალობით, რის გამოც ნოქრები იძულებულნი არიან მთელი დღე დარჩნენ დიხშულ ბნელ ან ნახევრათ განათებულ მალაზიებში, ან და მიატოვონ ადგილები და დარჩნენ უჯამაგოროთ. ვაჭრებისთვისაც 2—3 საათით მალაზიების გაღება არაფერია ხელსაყრელი, რადგან ამ დროს ქალაქელი მიუდგელები ხაყულები და სოფელიელები არ მოდიან, რადგან იციან, რომ დუქნები დაკუთრდა. ამიტომ ახლოდღებენ ისინი თავიანთ თხოვნას, რომათვე მხარდასთვის სასარგებლო იქნება კვირა დღეებში მთელი დღით მოსახლს ვაჭრობა და ნოქრებს კვირაში ერთი დღე ხვდეს დასასვენებლოთ.

ხმოსნებმა ურადღეს თხოვნა და მისი სერიოზული ხასიათის გამო ორი კრება მოახდამეს ამ საკითხის გამო რვეუკს. ნოქრების მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ ქუთაისში ვაჭრობა ისე არ არის განვითარებული, როგორც სხვა ქალაქებში, (თუმცა აქ ახალი ბანკის გახსნას საკითხის დაყენების დროს იგინივე წინააღმდეგს ამტკიცებდნენ: ჩვენ ქალაქში ვაჭრობა კითარდება და ბანკი ბაჭირდება, რადგან არსებული ვერ აკმაყოფილებს ჩვენს საკრედიტო მოთხოვნილებებს) ამიტომ აქაური ვაჭრები ძლიერ-ძლიერობით ვაჭრობა სულს, ცოლ-შვილი სახანგეროთ მშობრები გვეყავსო. უქმე-

ტისი ხაწილი ახლანდელი ვაჭრებისა ნოქრები იყვნენ, ცაცალებით უარეს ზირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ, მადლობა დამერს, არ დასცილდნენ (პირიქით განსხვავებულან და ნუთუ სხვებზე უკეთესად რომ ვუკლას ამათი ბუდი ექვეათ?): თქვა ერთმა [კრედიტორმა] ქალაქისა. არც ერთი კეთილსინიდასიერი ვაჭარი და ნოქარიცო, დაუმატა მან, ალბათ შედგომით, არ ისურვებს უქმე დღეებში მთელი დღე მალაზიები იკეტებოდეს, რადგან მაშინ სომ მთელი წლის ხაყუარი უქმე იქნებოდაო. თავი დაჯანებოთ ჩვენ ინტერესებს, განკრძო მან, მაგრამ რა უნდა ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში გლეხები, რომელთაც საქმის დღეებში არ ეხერხებათ ქალაქში ჩამოსვლა საჭირო საუიდეებისთვის! ისინი აქ უქმე დღეებში მოდიან, ედიან რამე-რამეებს და ეიდულობენ საჭირო საგნებს. ესეც არ იუკს, განა სასარგებლოა თვით ნოქრებისთვის მთელი დღის თავისუფლება?! არა, დამთავრა მან, რადგან ისინი ამ თავისუფლებას ბოროტათ მოახმარენ, გარუგნილებას მიეცემიან. ისინი უფრო დაუძღურდებიან უქმე დღეებში გარუგნილი ცხოვრებით, ვინემ საქმედღებში მუშაობით; ამიტომ ჩემის აზრით, კვირა დღეებში მალაზიების დაკუთრებთ ჩვენ არავის სარგებლობას არ მოეუტანთ, ზირობით ვსებას კი ბუკრს.

ამ აზრს ბუგრი ინტელიგენტი ხმოსანი მიემხრო: მაგ., ხმოსანმა თავ. შ. თუმანოვმა განაცხადა: ნოქრები ილაღებიან არა მუშაობით, არამედ უსაქმობის გამო, იღლებიან კვირაობით და არა საქმედღეობით.

ამიტომ რადგან კანონი, რომლის «დამოკრძილებლობა წყლის ხაყვის ნიშნავს», ნებას არ გვაძლევს მთელი დღე მალაზიების დაკუთრების, უმჯობესია, რომ არავინ შეურაცხვეთ, შეგვრბობთ ცნობები და ჩვენი ზირობების თანხმით გადაწყვიტოთ ეს საკითხი. ამკაიის შემდეგ ხმ. ადრეულიშვილმა პრინციპილური საკითხი წამოაყენა და თქვა: უქმე დღეებში ვაჭრობის გაუქმება სოფელთ ჩაჩობას შეუწყობს ხელს და რადგან სხვა ხალხებით, თუ ქალაქებით ჩვენი ზირობები ხელს არ უწყობენ უქმე დღეებში ვაჭრობის მოსახლას, თუცა ისიც მრწამს, მომავალში ეს ზირობები იქნებიან, ამისთვის შეც ვუჩვენებ საბჭოს სულ ნუ გაუქმებს ვაჭრობას კვირა უქმე დღეებში.

ამის წინააღმდეგ ბუგრი ილანარაკეს—მ. დეკემბრის და 24 თებერვლის კრებებზე ნოქრების დასვენების მომხრეებმა და უფრო ფართოთ შეეხნ საკითხს, დასვენების საჭიროება ფიზიოლოგიურ. ფსიხოლოგიურათაც კი განიხივეს, კვრებოდა და განსაკუთრებით ინგლისელების მკვლევარებზე კი წამოაყენეს წინ დათქვეს, რომ იქ გაცილებით ნაკლები სამუშაო დღეებია და, მიუხედავთ ამისა, უქმე დღეებს ფუნატიურათ უქმობენ, სხვაგან ექვსი დღის ნამუშევარ ხალხს და მასთან ამ დღეებში სხვადასხვა განსართობებსც უმართვენ ტანების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამათ (მაგ., ა. ფიფინკოვა და შ. ქაქაძე) თვით უმჯეღესი დროის ისტორიაც კი იმეწმეს იმის დასამტკიცებლათ, რომ კვირაში მეშვიდე დღე ადამიანს დასასვენებლათ ესაჭიროება. ამათ თქვეს, რომ, გარდა ძველის ძველ ბიბლიურ დადგენილებას, ერთი დღე (და ისიც შაბათი) კვირაში დღესაც შეწინდელი აქვთ ებრაელებს და ამ დღეს ერთი კანკის სედიჩაღს არ აკუთვებენ. მოხუცმა ფიფინკოვამ ინგლისის ისტორიიდან ისტორიკოსი მაკალეც კი იმეწმა, რომ ისტორიულ ხანებშიაც ვუკლავს დასვენების დღეთ შიანდათ კვირა და ამ დღეს სასტაკათ უქმობდნენ. რაც შეეხება დღეებზე კანონმდებლობას, ორტორებს სენატის ზოგიერთი განმარტებენი 430 და 108 მუნელების შესახებ არ ესმით ისე, ვითამც კვირა დღეებში არ შეიძლება ვაჭრობის გაუქმება. და თუნდაც გვიკრძალავდეს, სენატი ხომ მკვლავრი, შეუცდომელი დაწესებულება არ არის, იგი ცხოვრების ზირობებს მიუვება, მასთან ერთათ იცვლება, იმისდაგვარათ წერს კანონებს, და მის განმარტებებს, ისიც ამისდა მიხედვით ცვლის კანონებს. ამიტომ ჩვენც უნდა გვაკუთვებით მას, რომ ცხოვრების სინაღდელე მოითხოვს ამის. ექ. ხ. ტიჭინაძე ახლადეს, რომ თუ-

რადსეოფელს თავის დაცვის საშუალებას, ხალხს საზოგადოებას კი გზა-კვალს უხბევს, რომ უტყუარა მსჯავრი დასდვას, თუ ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი. დაკარგულნი ბ. ექიმბაშს, რომ ის დიდათ სცდება; ამგვარი ჭრებით ის ვერავის მოატყუებს და თვალს ვერ აუბამს. ჩვენ კარგათ ვიციან ბათუმის საავითოეოფელს ფერშელებს, არც ისეთი უგონი და შეუგებებელი არიან, რომ ვერ გააჩინონ შავი თეთრისაგან და არ ესმოდათ, თუ რა არის უფლებებისა და პიროვნების შეფასება. ის დრო წავიდა და ისტორიას ჩაშორდა, ბ. ექიმბაშო, რაცა დაბალ მოსამსახურეებს და შერბოვლ ხალხს არ ესმოდა, თუ რა იყო უფლებისა და პიროვნების დაცვა, დღეს ეს უკვლამ კარგათ იცის და აფასებს მის და გომბს უდიერათ მამყურბბს და თვითნებობას, ხალხს თქვენ კი თქვენი ჭრებით ფონს ვერ გახვალთ.

დღეს კითხვა ასეა დაყენებული, ან ფერშელები უნდა დაითხოვონ სამსახურიდან ან და ექიმ ფინკელშტეინის უნდა ჩამოერთვას უფროსი ექიმის თანამდებობა. რასაკვირვებელია, პირველი უფრო მოსალოდნელია. ვინაშით რა თვალთ შეხედვას ამას ქალაქის გამგებობა, თუ საით გადაიხრება მისი სასწორი. სიმართლეს დაიცავს თუ უსამართლობას, მართალს და სუსტ მხარეს მიემხრობა, თუ მტყუანს და ძლიერს, ამას მალე დაეინახავთ. ჩვენის აზრით, საჭიროა გამგებობა გულდასმით გამოიძიოს საქმის ვითარება, შეეკითხოს საავადყოფოს უკვლამ მოსამსახურე ბირს სათითაოთ და აგრეთვე ავითოეოფელს და ამასე დაამყაროს თავის განახენი. აი მამბინ იქნება ნამდვილი საქმის გარჩევა.

რენეგატი.

P. S. ამბობენ, თითქმის ბ. ფინკელშტეინის ურჩი ფერშელების ადგილზე პეტრობურგოვან გამაყწეროს ღრი ფერშელები და სამი ფერშელები ქალი, მის დახმდვილებით არ ვიცი თუ რამდენათ მართალია ეს.

რენეგატი.

რუსეთის ცნოვრება.

— რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამსმარბებელ საზოგადოებასთან მუშაობს კომისია მუშათა დახდევვის საქმის მოსაწყობათ. კომისიის აზრით პენსიის მხრავ მუშები ექვს კატეგორიით უნდა იქმნ დაყოფილი: 1, ის მუშები, რომელნიც წელიწადში 60 მანათს იღებენ; 2, რომელნიც 120 მანათს იღებენ; 3,— 180 მანათს; 4,—300 მ.; 5,—480 მან. და 6,—480 მანათს. იმათ, ვინც 480 მანათამდე იღებენ, უეჭველათ უნდა მიიღონ მანაწილეობა დახვევაში. კომისიამ დადგინა, რომ პენსიის მინიმუმი თვეში 2 1/2—3 მანათი უნდა იყოს. პენსიის მიღება შეეძლებათ უკვლას, ვისაც 200 კვირის განმავლობაში მანაც უხდა შესატანი ფული.

— მაქსიმ გორკის შეუძენია ვალდების ხალხს გრაფ შერეპტიევის მამული, ღირებულები 700 ათას მანათათ.

— რევიცილურ „ფინანსდ. გაზეთ“-ში ვეითქვალბთ: „17 თებერვალს, გელსინგფორსის სადგურზე ადგილობრივ ინტელიგენტებმა მოაყარეს თავი. რა წამს მატარებელი გაჩერდა და ვაკონიდან აბოს სამმპერატორა გობგერბტის პრეზიდენტი ბ-ნი სტრენგი ჩამოვიდა. ამ წამს ბრბო გარს შემოეხვია და ასტეხა სტეკა, ყვირილი, დახმდა; ზოგი აფურთხებდა კიდეც პრეზიდენტს. უწყსობაში იქამდე მიადწია, რომ სტელიგს ეტლში ჩაჯდომის ნება არ მისცეს, და იგი იძულებული იყო წასულიყო მანდაბელ სასტუმრომდე. 67 წლის მოხუცი სტრენგი აუღელვებლათ მიუახლოვდა „ფუნას“-ს სასტუმროს, სადაც დაუსხდა ინტელიგენტთა მერვე ბრბო. აქაც სტეკებით და ყვირილით დახვდნ. აქით იქიდან „მოდლატე“ „გამიდეველო“. რადესაც სტრენგმა რათხი მოითხოვა, სასტუმროს პატრონისაგან უარი მიიღო. პატრონმა ისიც უთხრა, რომ

გელსინგფორსის ვერც ერთ სასტუმროში ვერ იმოხინოთ რათხა. პოლიციის დახმარებით, სტრენგი, როგორც იყო, ჩაყდა ეტლში და ნათესაებთან წავიდა, სადაც თავი შეაფარა, რამდენიმე მტკილიგენტი ყვირილით და სტეკებით ეტლსაც მისდგნდა, რამდენიმე დგომის კარბზე წინაწინვე მიაკრეს ამხარია განცხადება: „აქ ჩამოხტა მოდლატე სტრენგი“. პოლიციამ, რადა თქმა უნდა, მამბინვე ჩამოიღო ეს განცხადება: რა დასწავ ამ მოხუცმა რომ ფინლიანდის ინტელიგენტებმა სტეკა და აფურთხება დაუწყეს? მასხუნი ერთია მხოლოთ. ტანის სოკეტინიკი სტრენგი აბოს სამმპერატორა გობგერბტის რ წვერთან ერთათ მიემხრო დახმჩენ თქვესშეტ წვერის დადგენილებას, რომელსაც, ატიტატორების გავლებით, უარყვეს უმადლესი ბრძანება თანამდებობის კაცთა დასჯის (დახმუღობის დროს) ახალ წესის შესახებ; ასეთ დადგენილებისათვის 16 მოხუცე სრულიათ დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან უბუნსით. ეს არის მთელი დახმუღელი და „დალატი“ სტრენგის“.

— ხმა დადის, რომ პეტრობურგში წერაკითხვის გამგარტელებელ საზოგადოებას აზრათა აქვს განხნას კრება რუსეთის ყველა წერაკითხვის საზოგადოებების წარმომადგენლებისა. კრების მიზანია, შეიმუშაოს ზომები შკოლის გარეთ დაჩენილთა შორის წერაკითხვის გასავრცელებლათ.

— მოსკოვში არსებობს რესტორანების ღაქითა და ტრაქტორების მოსამსახურეთა საზოგადოება, რომელსაც 1,179 წევრი უყვს და შეძლება დიდი აქვს.

სახლვარ-გარეთ.

ინგლისი. ინგლისს ამას წინეთ საშინელი ქარიშხალი წვია. ასეთი ქარიშხალი ისტორიამ ცოტა იცის. მან წააქცია ტელეგრაფის ბოძი, დაწყვიტა მავთულები, დაანგრიო ნავთსადსადგურები, ბევრი სახლები წააქცია, ერთგან მატარებელი გადააბრუნა, მგზავრებმა ზეზე სიარული რომ ვეღარ მოახერხეს, ფორთხვით მიდიოდნ, დაინგრა მრავალი ეკლესიები. ბევრი ხალხი დაიღუპა. ქარიშხალი უმთავრესათ ჩრდილო-ინგლისში და დასავლეთის ნაწილში მძვინვარებდა.

— ბირმინჰამში ინგლისის ლიბერალურ ფედერაციის უმთავრეს კომიტეტს კრება ქონდა. კრებამ მრავალი რეზოლიუცია დადგინა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ: მკაცრათ დაგმო სასკოლო კანონი, დიდი გადასახადები, კოლონიებში ძალდატანებით ანუ მონურ შრომის დაწესება. კრებამ ბრიუსელის საშაქრო კონფერენციის დამტკიცებაც არ მოიწონა.

ოსმალეთი. სერბიის ერთ გაზეთში მოყვანილია ოსმალის აზრი მაკედონიის რეფორმების გამო:

„რას ითხოვთ ჩვენგან? უკითხავს ოსმალს; თქვენ ითხოვთ, რომ მოგვცეთ თავისუფლება და ის უფლებანი, რომლითაც განათლებულ ქვეყნის შვილები სარგებლობენ? ჩვენ, ოსმალეებმა, რომ ეს მოთხოვნა აგისრულოთ, ხომ ჩვენისავე ხელით გამოვიქრით ყელს! განათლებული და განვითარებული სერბი თუ ბოლგარელი თავის დღეში არ გახდება ოსმალელი პატრიოტი; იგი მუდამ იმის ცდაში იქნება, შეუერთდეს თავის განთავისუფლებულ თანამოქმეთ... რაღა მოუვა ოსმალეთს, თუ ეტლა გამაჰმადიანებულ სლავიანთა შორისაც გაიღვიძებს ეროვნული გრძობა? მაჰმადიანობა და ოსმალეთი სინონიმებია; უერთმანერთოთ არსებობა მათ არ შეუძლიათ. ევროპაში წმინდა ოსმალური ელემენტი ახლა აღარ არის—იგი მე-XV-ე საუკუნეში გაქრა და რომ გამაჰმადიანებული ქრისტიანები არა, ევროპაში კვალიც აღარ იქნებოდა ოსმალეთისა. ეტლანდელი ოსმალეთი შექმნეს არა ოსმალეებმა, არამედ მაჰმადიანებმა, რომელთაც სარწმუნოება აერთებთ... ამიტომაც არის, რომ ჩვენი არსებობა ევროპის ოსმალეთში, მხოლოდ მანამდე შესაძლებელი, სანამ სარწმუნოე-

ბა გვაერთებს და სანამ ეს სარწმუნოება ჩვენი ერთგულების ერთგულების გამოხატველი დარჩება. როცა გამაჰმადიანებულ სერბსა ან ბოლშევიკებში გაიღვივებს ერთგულნი გრძობა, ოსმალეთი დაიღუპება. ამიტომაც არის, რომ ჩვენ არასოდეს არ დავსთანხმდებით ხალხის განვითარებასა და მის ერთგულ განთითქნობიერებას. ეს ხომ ჩვენი სიკვდილი იქნება. როგორ იქცევა ავსტრია, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, თუცა ავსტრიას თავი მოაქვს განათლებულ და დაუწინაურებულ სახელმწიფოთ. განა ამ სახელმწიფოს მთავრობაც ამგვარ პოლიტიკას არ მიიღვეს? იგი უმტიკიცებს ხალხს, რომ სარწმუნოება ერთგულება, რადგან ვმინია, რომ გამაჰმადიანებული და ქრისტიანი სერბები არ შეგვრდნენ. იგი ლალატობს სიმართლეს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბოსნიელი, ე. ი. სერბი, სერბი არ არის. ჩვენ, ოსმალელები, არასოდეს არ ვუკრძალავთ ქრისტიან სერბს თავის თავს სერბი უწოდოს, და რაც შეეხება გამაჰმადიანებულებს, საბედნიეროთ, ამით უდიდეს შეურაცხყოფათ მიაჩნიათ, ვინმემ რომ გაოსმალეებული სერბი უწოდოს.

არა, არავითარი რეფორმა არ უნდა შემოვიღოთ მაკედონიაში, პირიქით, აუცილებელი საჭროებაა, რომ გდვენონ და დაგამცირონ, რომ მთავრობის მორჩილი ვახდეთ. რეფორმების შემოღება ჩვენი ინტერესის წინააღმდეგია.

მეტად გულწრფელი აღსარებაა ოსმალელებისა და ეს გულწრფელი აღსარება კუდი ნიშანია მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც და კიდევ უფრო თვით ოსმალეთისათვის. როგორც ჩანს, ოსმალეთის ინტელიგენციაც კი არ არის მსურველი, რომ მაკედონიაში რეფორმები შემოვიღონ. ცხადია, ესლაც ბევრს ეცდება ოსმალეთი, რომ რეფორმა ქალაქზე მოხდეს და არა ნამდვილათ. მაგრამ როდემდის ეყოფა ოსმალეთს ძალი ასეთ წინააღმდეგობისათვის? იმ დღეს, როცა გამაჰმადიანებული ქრისტიანი, რომელსაც ძალი თავი ოსმალეთ მიაჩნია, შეიგნებს თავის ერთგულ ვინაობას, ოსმალეთი დაიღუპება.

მაკედონია. მრავალტანჯულ მაკედონელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას არა ვშველი არა. როგორც ჩვენმა შვითხელებმა იციან, ვასულ წელს აქ იფეთქა ამბოხებამ, რომელსაც შედეგათ მოყვა სულთანის ირადე, რეფორმების შემოღების შესახებ. მარა არც ირადემ უშველია საქმეს, იქაც სიტყვასა და ასრულებას შორის დიდი მანძილი ყოფილა. აღთქვეული რეფორმები, გარდა იმისა, რომ მეტათ უმნიშვნელო და პალიატიურობა, თითქმის განუხორციელებელი რჩება, ევროპის ერთა შორის თუცა ვაისმის პროტესტის ხმა, მარა რადიკალურ დონისძიებანი არცერთ სახელმწიფოს არ მიუღია. ჯერჯერობით ყველანი მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებში ხელმძღვანელობენ და ტანჯულთაღმი მათი თანაგრძნობა თანაგრძნობათვე რჩება, ასეთია ანგარიშზე დამყარებული პოლიტიკა; ამიტომ მაკედონიას არა დარჩენია რა იმის მეტი, რომ ისევ თავის ძალას მიენდოს, თავის თავს უბატონოს, და მაკედონიაში ისევ იწყება სისხლის დერა. მაკედონია ებრძვის თავის მტარვალს; აჯანყებამ ისევ იფეთქა, რაკი რეფორმების იმედი ოცნება გამოდგა. თუცა ოსმალეთის ჯარები ვაძლიერებულია მაკედონიაში, მარა რევოლიუციონერთა რახმები მთელ მხარეს მაინც მოედვენ. დაიწყო სასტიკი ულმოებელი ბრძოლა და გამარჯვებულნი ჯერ რევოლიუციონერთები რჩებიან. მთავრობის ჯარმა ბევრჯერ უჩვენა ზურგიმტერს. 17 თებერვალს, მაგ., მალაშოვის მხარაში შეტაკების დროს შეამბოხნენ მოუკლეს 4 ვაცი, დაუჭრეს ნ, მთავრობის ჯარიდან 40 მკვლარია, 30 დაჭრილი. ჯარი ვაიქცა. ეს უფრო აშინეებს თავდადებულ მამაცი შეილთ.

— სამაგიეროთ ალბანეთში შემადრწუნებელი ამბოხი ღდება. აქურ ოსმალეების ფანატიკოსობამ უბადლეს ხათისხამდე მიალწია. მაჰმადიანების ჯარი კალისავით ედებო ქრისტიანების სოფლებს და უწყალოთ არბევს. ბავშვებს ქალებს ქუჩებზე ყრიან, აუბატურებენ, მერე სახლქარსაც ცეცხლს უჭიდებენ და სწვავენ. სიმართლის გაბენი კი არავინ არის! როდემდის შერჩებათ ეს ბარბაროსობა?

როგორც ვხედავთ, კუდათ დაიწყო ავსტრია-რუსეთის რეფორმების განხორციელება.

— მაკედონიის კომიტეტებს თითქმის ევროპის ყველა სატატო ქალაქებში ვაუგზავნიათ წარმომადგენელი თავსუფალ მეომართა შესაკრებათ. ეს ვგენტები განსაკუთრებით ბით ენერგიულათ მოქმედებენ ლონდონში. მაკედონიელებს აზრათ აქეთ პარტიზანულ ომს მიმართონ ოსმალის ჯართან გასამკლავებლათ, როგორც ეს სამხრეთ აფრიკაში იყო. ამ მიზნით აგენტები ლონდონში ეძებენ სამხრეთ აფრიკაში ნამყოფ მეომართ, რომელთაც იციან ჩქარა მსროლელ თოფების და უკვამლო წამლის ხმარება.

ს ვ რ ი
(ლენინი და რეფორმები)

1900 წლის 11 დეკემბერს მედიცინის დოქტორს ნტონ ეგნატესძე კერევენცევს კაჯი შემოაკვდა. ზოგიერთი არა ჩვეულებრივი გარემოებანი, რომელშიაც ეს დანაშაული მოხდა და თან იმ დანაშაულის წინამორბედი ამბები, საკმაო საბუთს იძლეოდენ, რომ მკვლელის გონების სისადრში ექვი შებაროდათ.

ამის გამო ის დაწვინეს ელისავეტის ფსინიატრულ საავთმყოფოში გამოსაცდელათ და რამდენიმე ცნობილი ფსინიატრები მიუჩინეს თვალ-ყურის სადევნებლათ, ამათ რიცხვში დღეს უკვე გადაცვლილი პროფესორი დრეჟმბიციცი. წერილობითი განმარტება, რომელიც თვითონ კერევენცევმა წარმოადგინა მისი საავთმყოფოში დაწვინიდან ერთი თვის შემდეგ, გამოძიების მიერ შეგროვილ მასალებთან ერთათ საფუძვლათ დაედო სამსაჯულო ექსპერტიზას.

ფურცელი ჰარველი.

გარემოება, ბბ. ექსპერტებო, მაძულებს გამოვამტლავნო სრული ქეშმარიტება, რასაც მე აქამდე ასე დაყინებით ვფარავდი. ხოლო რა ნამდვილს ვაიგებთ თქვენ დაინახავთ, რომ საქმე არც ისეთი უბრალოა, როგორც ზოგიერთ სულელებს ჰგონიათ: ან ვიყის პერანგი, ან ბორკილიო. არა, მანდ არის კიდევ მესამე—არა ვიყის პერანგი, არა ბორკილი—არამედ უფრო საშიშარი და სახარელი, ვიდრე ეს ორი ერთათ აღებული.

ჩემ მიერ მოკლული ალექსი კონსტანტინეს ძე საველოვი ჩემი ამხანაგი იყო გიმნაზიასა და უნივერსიტეტში, თუცა ამ უკანასკნელ სასწავლებელში ჩვენ სხვადასხვა ვხა ავირჩიეთ: მე, როგორც მოგვხსენებათ ექიმი ვარ, იმან კი რორიდიული ფაკულტეტი დაასრულა. ვერც ვიტყვი რომ მე ის არ მყვარებოდეს—იმანვე უფრო მახლობელი მე არავინ მყოლია, მაგრამ მიუხედავთ ამისა ის მაინც არ ვკუთვნოდა ისეთ აღამიანთა წრეს, რომელთაც შეუძლიათ სხვის გულში დაბაზაღონ თავიანთ თავისადმი პატივისცემა. ის იყო რბილი ხასიათის, დაუდგრომელი ქუჩის და ცვალვებანი გრძობის, ხან მძაფრი და უკიდურესი, ხან კი წყნარი და ნაზი, ასე რომ უფრო ბავშვს ან დედაკაცს მოგაგონებდათ ვიდრე მამაკაცს. მის მახლობელი მეგობრებს არა ერთხელ გამოუტლიათ მისი

ასეთი ბუნების შედეგები, მაგრამ საზოგადოთ აღამიანის ბუნების ულოლიკობის გამო ის მაინც უყვარდათ და ათასნაირათ ცდილობდნენ იმის გამართლებას. ამ გარამოვას აწერდნენ იმას რომ ის „მხარეარი“ იყო. და მართლაც გამოდიოდა, რომ ეს უმნიშვნელო სიტყვა ამართლებდა მას და ამის გამო ის, რაც ყველა ნორმალურ აღამიანს სიტყუდეთ ჩაეთვლებოდა, იმაში არ იყო გასაკიცხავი და არც აქცევდნენ ყურადღებას. ასეთი იყო ძალა გამოგონილი სიტყვისა და ასე გასინჯეთ ერთხანს მეც მომხიბლა ამ სიტყვამ და იმის წვრილმან ნაკლს არათ ვაგდებდი. მე ვამბობ წვრილმანს მეთქი, ვინაიდან არავითარი დიდი—არც სიკეთე, არც სიამე—მას არ შეეძლო. მისი ბუნება ვერ აწვდებოდა, რასაც ცხად ყოფნენ იმის ლიტერატურული ნაწარმოებნიც, საერთოთ წვრილმანნი და უმნიშვნელო, მიუხედავთ ბრუტიან კრიტიკოსების აზრისა, რომელთაც ყოველგან ნიჭები ელანდებათ. ლამაზი და უმნიშვნელო იყო მისი ნაწერები ისე, როგორც ლამაზი და უმნიშვნელო იყო თვითონ ის.

როცა ალექსი მოკვდა ოცდა თერთმეტი წლისა იყო, ერთი წლით უმცროსი ჩემზე. ის ცოლიანი იყო. თუ მისი ცოლი თქვენ მხოლოდ ახლა ნახეთ, როცა დაქვრივდა, თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა ლამაზი იყო ის წინეთ—წამხთარა, ლოყები დანაცრისფერებია და პირის კანი ისე დანაოჭებია და დამეფლებია, როგორც ნახმარი ხელთათმანი, დიან დანაოჭებია, ასე მალე დანაოჭებია, მაშ ერთი წლის შემდეგ ის ორმოთა და თხრილათ იქცევა—საცოდავს ძლიერ უყვარდა ქმარი. არც თვალები უბრწყინვენ და უცინიან იმას ახლა და უწინ კი ვერ შეიძლო ისე გასაწყლებულა!

მხოლოდ სამმა, ალექსიმ, მე და ტატიანა ნიკოლოზის ასულმა ვიცოდით, რომ ხუთი წლის უკან, ორი წლით აღრე ალექსის დაქორწინებამდე მე ვთხოვე ტატიანას ხელი და უარი მივიღე. რა თქმა უნდა, რომ მე მგონია აგრე—სამმა ვიცოდით მეთქი—თარემ ნამდვილათ ტატიანას ეყოლებოდა ათამდე მაინც მეგობარი, რომელთაც ის ეტყოდა თუ როგორ მიიღო დოქტორმა კერაუგენცოვმა ტატიანასაგან დამამცილებელი უარი. არ ვიცი, ახსოვს თუ არა მის, რომ მაშინ გაეცინა, —ის აგრე ხშირათ იცინოდა—აღბათ არ ახსოვს მაშ გაახსენეთ: ნ სექტემბერს მან გაიღინა. თუ ივაროს—ის ივარებს ვიცი—გაახსენეთ წვრილმანი. მე, ეს ღონიერი კაცი რომელსაც ერთხელაც არ მიტირია, რომელსაც არაოდეს არ შემშინებია არაფრის,—მე ვიდექ მის წინ და ვკანკალებდი. მე ვკანკალებდი და ვხედავდი თუ როგორ იკვნეტდა ის ბაგეს, მე გაეუწოდე ხელი, რომ გადაეხვევოდი, მან კი აიღო თავი და დავინახე მისი თვალები, რომელშიაც სიცილი გამოსქვივოდა. ჩემი გაწეული ხელი ჰაერში გაშეშდა, იმას კი გაეცინა და დიდხანსაც იცინა, იმდენი სანამ სურდა, მაგრამ შემდეგ ბოლიში მაინც მოიხდა.

— მაპატივეთ თუ ხათრი გაქვთ,—მითხრა მან და თვალები კი მაინც უცინოდნენ.

მეც გავიღიმე და რომ შემეძლოს მისთვის სიცილის პატივება, ჩემ თავს მაინც ვერ ვაპატივებ ამ დიმილს. ეს იყო ნ სექტემბერს, პეტერბურგის დროით საღამოს ექვსს საათზე. პეტერბურგის დროით ვამბობ მე იმისთვის, რომ ჩვენ მაშინ ვიმყოფებოდით ვოგზალზე და მე ეხლაც ნათლათ მიდგია თვალწინ დიდი და თეთრი ციფერბლატი საათისა და ისრების მდგომარეობა: ზევით და ქვევით, ალექსი კონსტანტინეს ძეც მოკლული იქმნა სწორეთ საღამოს ექვსს საათზე. ეს გარემოება ბევრ რამეს აუხსნის საზრიან აღამიანს.

ჩემი აქ ჩაყენის ერთი მიზეზთაგანი ის გარემოება არის,

რომ დანაშაულის მოტივი არ ჩანს. ენოა ხომ კი დარწმუნდით, რომ ეს მოტივი იყო. რა თქმა უნდა რომ ეს იქვიანობა არ იყო. იქვიანობა ცხარე ტემპერამენტისა და საზოგადოთ ორგანოების სისუსტის შედეგია; ვ. დ. ბოლდინის ექვსნაღმდეგება ჩემს ბუნებას—მე კივი და გამსჯელი აღამიანი ვარ. მაშ შური იყო? დიან, უფრო შური, თუ ასე საჭიროა ბებერი სიტყვა ძხალისა და უცნობი გრძობის გამოსახატავთ. საქმე იმაშია, რომ ტატიანა ნიკოლოზის ასულმა მე ერთხელ კიდევ შემიყვანა შეცდომაში და ამან უფრო გამაბოროტა მე. მე კარგათ ვიცნობდი ალექსის და დარწმუნებული ვიყავი, რომ ტატიანა იმასთან უბედური იქნებოდა და მომიგონებს მე მეთქი—ამიტომ მე ვაჩქარებდი ალექსის მალე დაეწერა ტატიანაზე ჯვარი. ჯერ კიდევ ერთი თვის წინეთ ალექსის სიკვდილამდე, ეს უკანასკნელი მეუბნებოდა მე:

— ეს ბედნიერება შენი წყალობაა ძმაო—ხომ ტანო? ტანო კი მიცქერდა და თვალები უღიმოდნენ. მეც მეღიმებოდა. შემდეგ კი ყველას ერთათ გაგვეცინა. როცა ის გადაეხვია ცოლს—მე როდი მერიდებოდნენ—დაუმატა:


— სწორეთ რომ დიდი ბედნიერება აგცილდა ძმობილო! ამ უალაგო ხუმრობამ ერთი კვირით დააჩქარა მისი სიკვდილი. თავდაპირველათ მის მოკვლას 18 დეკემბრისთვის ვფიქრობდი.

დიან იმათი ქორწინება ბედნიერი გამოდგა და ყოველ მოლოდინს გარეშე ბედნიერი ტატიანა იყო. ქმარს კი ისე ძლიერ არ ყვარებია ის და არც შეეძლო მას ძლიერი საყვარული. ქონდა მას თავისი საყვარელი საქმე—ლიტერატურა, რომელიც მას რამოდენიმეთ აშორებდა საწოლ ოთახს, ქალს კი მხოლოდ ის უყვარდა და მხოლოდ იმით ცოცნობდა. ის იყო სუსტი, ავთმყოფი კაცი, ხშირათ თავი სტკოდა და უძილობაც აწუხებდა და ქალისთვის კი მისი მოვლა ბედნიერებას შეადგენდა. ქალს რო ვინმე შეუყვარდება, მერმე მას ლოლიკას ნუღარ კითხავ.

და აი დღითი დღე მე ვხედავდი მის მოღიმატე, უღარდელს, ბედნიერ და ლამაზ სახეს და ვფიქრობდი—ეს მე ვქენი. მინდოდა მისთვის გარეწარი ქმარი მიმეცა, რომ მე გაეხსენებოდი—ისეთი კი მივეცი, რომელიც მას უყვარს, მე კი ვჯღარ ვშორდები. თქვენ ერთი ეს წარმოიდგინეთ—ის ქმარზე უფრო ქვიანი იყო, ჩემთან უფრო უყვარდა მუსიკა, მუსიკის შემდეგ კი დასაძინებლათ ქმართან მიდიოდა და ბედნიერი იყო.

არ მახსოვს, როდის გავიფიქრე ალექსის სიკვდილი. რაღაც შეუმჩნეველათ წამომეპარა ის და პარველივე წუთიდან ისე შემეტვისა—თითქოს მე და ის სურვილი ერთათ დავბადებულეყოთ. მე ვიცი, რომ ტატიანას გაუბედურება მინდოდა—ამისთვის ათასნაირ გეგმას ვადგენდი, ვფიქრობდი ისე მომიყვანა მიზანი სისრულეში რომ ალექსისთვის იმდენი არაფერი დამეკლო—მე მტერი ვარ უსარგებლო სასტიკობისა. ამიტომ ვიცოდი თუ რა დიდი გავლენა მქონდა ალექსიზე—ვცდილობდი იმისთვის ვინმე სხვა ქალი შემეყვარებინა, ან და გამელოთებია ის, მაგრამ არც ერთი საშუალება დაბოლოს აღარ მომწონდა. საქმე იმაში იყო რომ ტატიანა მაინც მოახერხებდა ბედნიერი ყოფილიყო. მას სურდა რომ ამ კაცს ეცოცხლა და თვითონ მოსამსახურეთ ყოფილიყო. არიან ისეთი მონობის მოყვარულნი და როგორც მონები ისინი ვერ დააფასებენ ძალას, თუ ეს ძალა თავიანთ ბატონს არ ეკუთვნის. ქვეყანაზე ათასნაირი ქალები ყოფილან, ქვიანნიც, ნიკიერნიც, ლამაზებიც, მაგრამ სამართლიანი ქალი ჯერ ქვეყანას არც უნახავს და ვერც ნახავს.

გულწრფელათ ვადიარებ,—ამიტომ კი არა, რომ რაიმე



შედავითი მომცეთ, არამედ იმიტომ რომ დავამტკიცო თუ რა ნორმალურათ ვითარდებოდა ჩემ გულში განზრახვა—გულწრფელათ ვაღიარებ რომ დიდხანს ვებრძოლე სიბრალულის გრძობას იმ კაცისადმი, რომელსაც სიკვდილი გადაუწყვიტის მებრალეობდა იმისთვის, რომ სიკვდილის წინ ბევრი შიში და სიმწარე უნდა გამოეფლო. მეცოდებოდა—არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა—არა თვითონ ის, არამედ იმისი თავის ქალა. სწორათ მომუშავე ცოცხალ ორგანიზმში არის განსაკუთრებული სილამაზე და სიკვდილი კი, როგორც ავთიმყოფობა, როგორც სიბერე, თავდაპირველათ სიმახინჯეა. მაგონდება—ერთხელ, როცა უნივერსიტეტი გავათავე შემთხვევა მქონდა ლამაზი ძაღლისთვის ტყავი გამეძრო და მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა მოვიყვანე სისრულეში. ეს შემდეგშიაც, დიდხანს ძლიერ ცუდ ხასიათზე მაცუნებდა მე ამის მოგონება.

და რომ ალექსი ისეთი სნეული და მახინჯი არ ყოფილიყო, ვინ იცის, შეიძლება არც მომეცა ის. მხოლოდ მისი ლამაზი თავი ძალიან შემებრალა მე და ახლაც მებრალეობა. გადაეცით ეს ტატიანას. ლამაზი თავი ქონდა ალექსის, ულამაზო მხოლოდ იმისი თვალები იყვენ—მკრთალი, უცვცხლო, უენერგიო.

არც იმ შემთხვევაში მოვლავდი მე ალექსის რომ კრიტიკოსები ზართაღნი ყოფილიყვენ და ის მართლაც დიდი ნიჭის პატრონი ყოფილიყო. ცხოვრება ისე მოუცავს სიბნელეს და იმას ისე სჭირია გზის მანათობელი ნიჭები, როგო თვითველ მათგანს ისე უნდა ვუფრთხილდეთ, როგორც უფიჭასეს თვალს. მაგრამ ალექსის ან ქონას ნაჭი.

აქ უელაგოა კრიტიკული წერილი, მაგრამ აბა ჩაიკითხეთ ყველაზე უფრო სახელგანთქმულნი ნაწერები განსვენებულიისა და დაინახეთ, რომ ის არ იყო ცხოვრებისთვის საჭირო. ის სჭიროდა ჩასუქებულ და ღიბიან ადამიანებს, რომელნიც გასართობებს ეძებენ, მაგრამ ჩვენ კი, რომელნიც ცხოვრების ახსნას ვცთილობთ, ჩვენ არ გვჭიროდა ის. მაშინ როცა თავისი აზრისა და კალმის ძალით მწერალი ახალ ცხოვრებას უნდა ქმნიდეს—საფელოვი აგვიწერდა მხოლოდ ძველს და არც იმის ახსნა-განმარტებას ფიქრობდა. ერთათერთი მისი მოთხრობა, რომელიც მე მოწონს და რომელშია ის უახლოვდება გამოუცნობ სამეფოს—ეს მოთხრობაა „საიდუმლო“, მაგრამ ის გამოჩაკლს შეადგენს. მთავარი კი ისაა, რომ ამ ბოლო დროს მას ერთობ შემოეცლია მასალა, სიმძლავრისაგან მას უკანასკნელი კვილიც კი ამოძვრა, რომლითაც ცხოვრებას უნდა ჩაეჭიდა. ამის შესახებ მასაც უთქვამს ჩემთვის და მეც აგრე ვიყავი დარწმუნებული—მისი მომავალი ზღანები ყველა ვიცი და დავამშვიდებ იმის თავყანის მკემლებს, იმათში ახალი არა ვერია რა. ალექსის მეგობრებში მხოლოდ მარტო მისი ცოლი ვერ ხედავდა მისი ნიჭის დაცემას და ვერც დაინახავდა ოდესმე. და იცით რატომ? იმიტომ რომ ის არ კითხულობდა იმის ნაწერებს. ხოლო როცა მე ერთხელ ვცადე იმისთვის თვლები ამეხილა, მან ცუდი კაცი მიწოდა.

როცა მარტონი დავრჩით, მითხრა:
 — ის კი არა, თქვენ სხვა რამ არ მოგწონთ.
 — რა?
 — ის, რომ ალექსი ჩემი ქმარია და მე რომ ის მიყვარს. თქვენ რომ ალექსის ისე არ მოსწონდეთ...
 ის შეჩერდა და მის მაგიერ მე დავათავე:
 — თქვენ მე სახლიდან გამაგდებდით, არა?
 მის თვალებში სიცილმა გაიელვა და სიცილით წაილაპარაკა.

— არა, დავტოვებდი.
 მე კი არაოდეს, არც ერთი სიტყვით, არც ერთი მოძრაობით არ მიჩვენებია, რომ ის კიდევ მიყვარს. მაგრამ ჩემი გავიფიქრე: მით უკეთესი თუ კი იცის, დავტოვებდი.

თვითონ ფაქტი—ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მე არ მაკავებდა. მე ვიცოდი, რომ კაცის მოკვლა სასტიკათ არის აკრძალული კანონის მიერ, მაგრამ ყველაფერი, რასაც კი ჩვენ ჩავდივართ დანაშაულია და მხოლოდ ბრმა ვერ ხედავს ამას. ზოგი საქციელი დანაშაულია ღვთის წინაშე, თუ კი ღმერთი გწამს, ზოგი დანაშაულია ადამიანის წინაშე, ზოგი კი ჩემისთანა კაცებისათვის დანაშაულია თავის თავის წინაშე. მაგალითათ, მე დიდი დანაშავე ვიქნებოდი, თუ საქართველო ვიცნობდი ალექსის მოკვლას და არ მოვკლავდი. ხოლო ის, რომ ადამიანები დანაშაულს ყოფენ დიდსა და მცირე დანაშაულათ და მკვლელობას დიდ დანაშაულს ეძახიან, ეს მე ადამიანის სიცრუეთ მიმაჩნია, სიცრუეთ თავის თავის წინაშე, ცდათ, რომ თავისივე ზურგი იფაროს თავის სინიდისის მიერ წამოყენებულ კითხვაზე.

მე არ მეშინოდა თავის თავის და ეს კი ძლიერ კარგი იყო. დანაშაულისთვის პოლიცია და სასამართლო როდია საშიში; არამედ თვითონ საკუთარი მისი ნერვები, თავისი სნეულის მძლავრი პროტესტი. გაიხსენეთ რასკოლნიკოვი—ეს საბრალო და სულელურათ დაღუპული კაცი, გაიხსენეთ მრავალი იმისთანა. მე ძალიან დიდხანს და ყურადღებით ვჩერდებოდი ამ კითხვაზე, მინდოდა წარმომედგინა, თუ რა ვიქნებოდი მკვლელობის შემდეგ. ვერ ვიტყვი, რომ ვითომც იმ დასკვნამდე მივსულიყო—სიმშვიდეს შევირჩენ მეტქი. მოაზრე ადამიანს ასეთი რწმენა არაოდეს არ მოუვა. მაგრამ გავითვალისწინე რა ყველაფერი ჩემი წარსულიდან, მივიღე რა მხედველობაში ჩემი ხასიათის ძალა, ჯერ კიდევ დაუშრეტელი და სრულიად სალი ნერვების სისტემა, ღრმა და გულწრფელი ზიზღი შაბლონურ მორალისადმი—მე დავრწმუნდი, რომ რამოდენიმეთ გავიტანდი თავს. აქ უელაგოა არ იქნება, რომ ვიამბოთ ერთი ფაქტი ჩემი ცხოვრებიდან.

ოდესღაც, როცა მე ჩეხუთე სემესტრის სტუდენტი ვიყავი, ამხანაგების საერთო ფულიდან მოვიპარე 15 მანათი და ვთქვი, რომ კასირს შეცდა ანგარიში მეტქი, რაშიაც ყველანი დამერწმუნენ. ეს უბრალო ქურდობაზე ვეტი იყო, აქ მშვიერი კი არ ქურდობდა, ღარიბი კი არ ართმევდა მდიდარს, აქ ნდობას ვარღვევდი, აქ მე, მძღარი, ვითვისებდი მშვიერის ლუკმას და მერმე კიდევ ამხანაგის, სტუდენტის ლუკმას, ვიპარავდი მე შეძლებული სტუდენტი. კიდევ ამიტომ იყო რომ იქვი ვერ შემოიტანეს. თქვენ, რა თქმა უნდა, ეს საქციელი უფრო საზიზღრათ მივაჩნიათ, ვიდრე ის, რომელიც ამ ბოლო დროს ჩავიდინე—ხომ აგრეა? მე კი, მახსოვს, ძალიან მართობდა ის აზრი, რომ ძალიან ოსტატურათ შევიძელი ქურდობა და თვალეში, პირდაპირ თვალეში შევცქეროდი ჩემ მიერ გაქურდულ ამხანაგებს. მე თვალეში შავ-შავი, ლამაზ-ლამაზი და პირდაპირი მაქვს და კიდევ მიჯეროდენ. ყველაზე უფრო კი იმით ვამაყობდი, რომ სინიდისის ქენჯნას სრულიად არ ვგრძობდი—რის დამტკიცებაც იყო ჩემთვის საჭირო. და დღევანდლამდე დიდის კმაყოფილებით ვიგონებ იმ დიდებულ სადილს, რომელიც მე ნაქურდალი ფულებით გავმართე.

და განა ახლა კი ვგრძობ სინიდისის ქენჯნას, სინაწულს ჩემ საქციელზე? სრულიად არა.
 მე მიჭირს, მე ძალიან, ძალიან მიჭირს, ისე მიჭირს, როგორც არც ერთ ადამიანს დედამიწის ზურგზე, თმა ჩემი

ქალარავდება—მაგრამ ეს სხვაა, სხვაა, სახარელი, მოულოდ-
ნელი და დაუჯერებელი რამ სხვა.

ფურცელი მეორე.

ჩემი გამოცანა ასეთი იყო: მე უნდა მომეკლა ალექსი
ისე, რომ ტატანას ცოდნა მკვლელო და ამასთანავე კა-
ნონიერა სასჯელიც ამცილებოდა. იმას გარდა, რომ ჩემი
დასჯა ასიამოვნებდა ტატანას, მე სრულებითაც არ მსურდა
კატორა. მე ძლიერ მიყვარს სიცოცხლე.

მე მიყვარს, როდესაც გამჭვივალე ბროლის ჭიქაში
კიანთობს ოქროს ფერი ღვინო. მე მიყვარს დაღლილი—წმინ-
და და სუფთა საწოლში გავხვდეთ, მიყვარს გაზაფხულის ჰაე-
რის ღრმათ ჩასუნთქვა, მიყვარს ვუცქირო მზის ჩასვენებას,
მიყვარს ჭკვიანური წიგნების კითხვა. მე მიყვარს ჩემი თავი,
ჩემი კუნთების ღონე, ძალა ჩემის აზროვნობისა, ნათელი და
მარტივი ძალა. მე მიყვარს მარტობა და ჯერ არც ერთი
ცნობის მოყვარე ადამიანის თვალს არ ჩაუხვდია ჩემი გუ-
ლის სიღრმეში, იმის თვალჩაუწვდენელ ხევ-ხუცსა და ღრინ-
ცელებში, რომლის კიდვზე თავბრუ ესხმის ადამიანს. არაო-
დეს მე არ გამომიცდია და არც ვიცი, თუ რას ქვია მოწყე-
ნა ცხოვრებაში. ცხოვრება საინტერესოა და მე მიყვარს ის
იმ დიადი საიდუმლოს გამო, რაიც იმაში მოთავსებულია, მე
მიყვარს ის მისი სასტიკობისა და მხეცური შურისძიებისათვის,
სატანისებურ-მხიარული თამაშობისათვის ადამიანთა და მოვ-
ლენების.

მე ვიყავი ერთათ-ერთი კაცი, რომელსაც პატრესცემ-
და—მაშ როგორ ჩავიდნენ ისეთ სისულელეს, რომ ეს კა-
ცი კატორაში გამეგზავნა, სადაც მას არ ექნებოდა შეძლე-
ბა თავის ნებაზე ცხოვრებისა!.. და თქვენი შეხედულობი-
თაც მე მართალი უნდა ვიყო, როცა კატორიდან თავის
დახწევას ფიქრობდი. მე კარგი ექიმი ვარ, ვარჩენ მრავალ
ღარიბებს, მე სასარგებლო ვარ, უფრო სასარგებლო ვიდრე
ჩემ მიერ მოკლული საველოვი.

და თავის დახწევასაც ადვილათ მოეახერხებდი. ათასაი-
რი საშუალება არის, რომ ადამიანს შეუძინეველათ მოუსპო
სიცოცხლე, და მე, როგორც ექიმს, შემეძლო ასეთ ზომების-
სათვის მიმემართა. ამ სხვადასხვა საშუალებათა შორის მე
დიდხანს შევჩერდი ერთ საშუალებაზე, სახელდობრ, ფიქ-
რობდი ალექსის სისხლში შემერია საზიზღარი და განუკურ-
ნებელი შხამი. მაგრამ ამის უხერხულობა თვალაჩინო იყო:
ობიექტს დიდ ხანს უნდა ეტანჯა, რაღაც ულამაზო და რო-
გორღაც ძალიან... უჭკუო იყო ეს. და ამასთანავე ქმრის ხან-
გრძლივ ავადმყოფობაში ტატანა რაიმე თავის სანუგეშოს
დაინახავდა. ყველაზე უფრო ჩემ გამოცანის ის პირობა არ-
თულებდა, რომ ტატანას მაინცდამაინც უნდა ცოდნიყო მი-
სი ქმრის მკვლელო. მხოლოდ ლაჩრებს ეშინიათ დამაბრკო-
ლებელი მიზეზების, ჩემისთანაებს კი ასეთი მიზეზები უფრო
იზიდვენ და იტაცებენ.

შემთხვევა, ეს დიდებული მეკავშირე ჭკვიანებისა, დამე-
ხმარა მე. მე თავს ნებას ვაძლევ ბ. ექსპერტებო, რომ თქვენ-
ნი განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო ამ გარემოებაზე.
სწორედ შემთხვევა დაქმნა, ე. ი. რაღაც გარეშე დაედვა
სარჩულათ ჩემ საქციელს. ერთ გაზეთში შემთხვევით ამოვი-
კითხე, ვითომც ერთ ნოქარს ბნედა დამართოდეს და ამ
დროს ფულები დაკარგოდეს, ნამდვილათ კი, რა თქმა უნდა
მოიპარა. ნოქარი ლაჩარი გამოდგა და ყველაფერში გამოტ-
ყდა, მაგრამ თვითონ აზრი კი კარგი და ადვილი განსახორ-
ციელებელი იყო. მოვიგონე სიგიჟე, მოკალი ალექსი ვითომც
ამ სიგიჟის დროს და შემდეგ კი „მოარჩი“. აი პლანი, რო-
მელიც ერთ წუთას დამებადა თავში, თუმცა ბევრი დრო და

შრომა წაიღო, რომ გარკვეული და კონკრეტული ფორმა
მიეღო. იმ დროს ფსიხიატრიას მე ზერელეთ ვიცნობდი,
როგორც ყველა ექიმები, თუ სპეციალისტი მანისაშვილი
ამის გამო ერთი წელი ფსიხიატრიის შესწავლას მოუწოდებდა
დაბოლოს მე დავრწმუნდი, რომ პლანი ადვილი განსახორ-
ციელებელია.

(შემდეგი იქნება).

ტყესა ჰკათავენ... ჯერ ისე ნორჩსა
და გაფურჩქნულსა, ამწვანებულსა.
ფიქვენი ბებერნი დაღონებულანი
და მისცემიან მწარე ფიქრებსა.

ტყესა ჰკათავენ განა იმისთვის,
რომ ასე ჩქარა მან გაიღვიძა?
ასტება თვისი სიმღერა ტკბილი
და მთა და ბარსა იგი ასმინა?

იგი უმღერდა მზეს ბრწყინვალესა,
ნატრიდა მისსა ბედნიერებას,
აღელვებულის თვალით უცქერდა,
თითქოს ელოდა იმისგან შევლას...

ტყესა ჰკათავენ... მაგრამ მათ ნაყოფს
მაგრად ჩაიკრავს თვის ვულში მიწა.
მირბიან წლები და ვით მოწამე
მალლით დაყურებს დამშვიდებით ცა.

გაივლის ჟამი და ზეცის ძალით
მწვანე ბუჩქნარი აღიმართება
და დაღუპულთა მოძმეთ საფლავზე
მაშინ ფერხული გაიმართება

№ №.

ქუნდალ-გაზეთებიდან.

ჩვენს უკანასკნელ შენიშვნას ძრიელ გაუწიწმატებია „ცნ.
ფურცელი“. და ოთხშაბათის ნომერში მთელი მოწინავე წე-
რილი გვიძღვნა სხვადასხვა თაიგულებით (როგორც „სიბინ-
ძურე და სხვ.) შემკობილი. ჩვენ ვსწორდით, „ცნ. ფურცელს“
ზღანოვიჩთან და მის პარტიასთან ნათესავური და გეშეფტური
კავშირი ქონებია და ამიტომ ასე ქება-დიდებათ იხსენიებს
იმასო. ამ კავშირს უარს არ ჰყოფს გაზეთი, მხოლოდ ცდი-
ლობს დაგვიმტკიცოს ამით სრულიად არ ვხელმძღვანელობთ
ამ საქმეშიო. ჩვენ, რასაკვირელია, ამას ვირწმუნებდით და
არც ამ საგანზე ბაასს ვავმართავდით იმ შემთხვევაში, რომ
მას სხვა რამე საბუთი წარმოედგინა და ეთქვა, აი რით ვხე-
ლმძღვანელობთო. ჩვენ გაზეთში არა ერთხელ შეგვიტყვე-
ნა „ცნ. ფურცელს“ დავისახელეთ საბუთი თქვენი მოქმედებისა,
გვითხარით მაგ. რატომ ემერიკს და მის პარტიას, როცა ზღანოვიჩს

ექსპანდებოდენ (1900 წ.), აქედით. ხოლო წელს, როცა მას აღარ ექსპანდებოდა—აგინებო. რატომ წვრილი მრეწველნი ცუდი ხალხი იყო მაშინ, როცა ზღანოვიჩს ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო ახლა, როცა აღარ ეწინააღმდეგებიან—კარგია და სხვა. („კვალი“ № 7). აი ამის პასუხს ველოდით, მაგრამ ამაოთ. გაზეთმა ვერ აგვარხნა თავისი მოქმედებას მოტივი, ვერ გავცა პასუხი ვერ ერთ ჩვენ კითხვაზე, და აქედან აშკარა იყო რომ მას არ მოეპოვება ისეთი საბუთი, რომლის გამოძღვანება სათაკილო არ იყოს. როცა ვისმეს საქმეს უქებენ, ხოლო ამ ქების საბუთს კი ვერ ასახელებენ—აშკარაა ეს ქება პირადი გრძნობის ნაყოფია, სრულიად კერძო მოსაზრების შედეგია და თვით საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს. „სწ. ფურცელი“, წინააღმდეგ აუარებელი ფაქტებისა და აშკარა ბოროტ-მოქმედებისა, მიემხრო ზღანოვიჩის პარტიას და ყოვლად შეუწყნარებელი ქებათა-ქებით მოიხსენია მთელი ეს გეშეფტმახერები და დაგმო ოპოზიციისა. და ეს ისე, რომ არც ერთი ბრალდება ოპოზიციისა არ დაურღვევია, ამას არც კი შეხება! რამ გამოაწვია ეს საარაკო „აბლაკობა“? აი ეს გვსურდა გავველო და გავიგეთ „სწ. ფურცლის“ წერილიდანვე. მან თითონვე აღნიშნა რომ ნათესავურ და გეშეფტურ კავშირს ვაბრალებდნენ ბურჟუაზი-ტელიგენციასთან და მის მეთაურთან. და ჩვენც ხელი წავატანეთ ამ საბუთს, რადგანაც სხვა საბუთი გაზეთმა ვერ წარმოგვიდგინა. ჩვენ სრულიად არ გვგონია ის, რომ ნათესავის ქება არ შეიძლებოდა გაზეთში, მხოლოდ ეს უნდა ხდებოდა საბუთებით და არა ცარიელი სიტყვებით. თუ კი საბუთი არ გაქვთ, ხოლო ცარიელი სიტყვები კი ბევრი—მაშინ ყოველი მიუღვამელი კაცი იტყვის, რომ ნათესაობით აქებთ. ბ. ლალი ნათესავია ზღანოვიჩის, ბ. ლალი სრულიად უსაბუთოთ და მიუხედავად ყველა ფაქტებისა აქებს ზღანოვიჩს. მაშასადამე ბ. ლალი აქებს ზღანოვიჩს იმიტომ, რომ ის მისი ნათესავია. აი სალი ლოდიკა და სანამ ის საბუთებს არ წარმოგვიდგინს—ეს ლოდიკა შეურყვევლი იქნება. რაც შეეხება ფულის სესხებას ამხანაგობის მიერ—აი ამაზე რას მოგახსენებთ. „ამხანაგობა“ არის სავაჭრო დაწესებულება, ვაჭრობა მოითხოვს ფულს, ნდობას, სახელს, თანაგრძნობას და სხ. ყველა ამის მოპოვება საჭიროა, რომ საქმე რიგიანათ წავიდეს. ხოლო ამისათვის კი საჭიროა სხვადასხვა საშუალებების მიღება. ევროპაში ამ მიზნით ხშირათ აარსებენ გაზეთებს და ამით სახელს უკეთებენ თავის საქმეებს. აქ გაზეთი გეშეფტის ნაყოფი და იარაღია. ასეთ პრესას უწოდებენ დამოკიდებულ პრესას. წყარო ამ პრესის სიცოცხლის გეშეფტია და იმიტომ მან ძალაუნებურათ გეშეფტმახერთა ინტერესები უნდა დაიცვას. ეს ასეა ყოველგან და ყოველ შემთხვევაში—თუ კი გაზეთი სავაჭრო საქმეს დაუკავშირდა. „სწ. ფურცელი“ ამხანაგობის საკუთრებაა. „ამხანაგობას“ კი თავისი ინტერესები აქვს, რომლის დაცვა საჭიროა, როგორც „ამხანაგობის“ ისე „სწ. ფურცლის“ ხანგრძლივობისათვის. „ამხანაგობის“ წაბორძიკება წაბორძიკებს გაზეთსაც—განსაკუთრებით მაშინ, როცა გაზეთს თავის შემოსავალი არ ყოფნის და ამხანაგობა სუბსიდიას აძლევს. ეს ისეთი ლოდიკაა, რომ ის ლანძღვა-გინებით არ გაირღვევ. „სწ. ფურცელმა“ რაც უნდა იმეცადინოს, რაც უნდა კეთილგანზრახვებით აღიჭურვოს, ყოვლად შეუძლებელია „ამხანაგობის“ სავაჭრო ინტერესები უარყოფს და ხანდახან მას არ დაექვემდებაროს. როცა საზოგადო კითხვა და „ამხანაგობის“ ძირითადი ინტერესი ერთმანერთს შეეჯახება—„ამხანაგობის“ ორგანო—„სწ. ფურცელი“—„ამხანაგობას“ მიემხრობა: წინააღმდეგი მოქმედება თავის თავის მოკვლა იქნება და მოგახსენებთ, სიკვდილამდის არ მოუქ-

ლავს თავი კაცსა მეცნიერსა“. რაკი ამხანაგობა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკიდან ფულს სესხულობს, ხოლო ეს ბანკი ზღანოვიჩის პარტიის ხელშია—ცხადია, „სწ. ფურცელი“ ამ ბანკის და მის მეთაურთა მომხრეებს უნდა დაეხმოს არის კიდევაც; და ეს მით უფრო მაშინ, როცა სხვა საბუთი, როგორც ზევით ვთქვით, არა აქვს რა.

ერთი სიტყვით, „სწ. ფურცელი“, როგორც სავაჭრო დაწესებულების საკუთრება—იძულებულია თავის პარტიონის ინტერესები დაიცვას და მით დაიცვას თავის არსებობას. „სწ. ფურცელი“ გმირი ბ-ნი ზღანოვიჩი გმირულათ გამოვიდა „ნოვრე ობოზრენის“ ფურცლებზე და თავისებური ჟუტიფიკაციის კილოთი ვინც მოხვდება—ლანძღავს, და რასაკარგვლია, სხვათა შორის „კვალსაც“. თავისთავით ცხადია, რომ ჩვენ წინააღმდეგ მას არავითარი საბუთი არ მოყავს, არც ერთ ჩვენ წერილს მის შესახებ არ ეხება და არ არღვევს. ის უპასუხებს მხოლოდ ბ-ნი ემერიკს, რომელმაც „თფილისის ფურცელში“ (№ 30) ორი საშინელი ბრალდება დასდო: პირველათ, ბ-ნი ზღანოვიჩის რამდენიმე დღეს ტარიფის დაკლების ამბავი დაუქალავს და პეტერბურგიდან დეპეშით უქნობებია ორი ფარმისათვის (ერთას თავმჯდომარეთ თვითონ იყო) დაუკლეს სამი კაპიკითა. ანით უსარგებლებიან ამით და თავისი ქვა კარგ ფასებში გაუყიდიან, მხოლოდ ამ გაყიდვის შემდეგ გამოუქვეყნებია ბ-ნი ზღანოვიჩის ტარიფის დაკლება. აი ეს გარემოება სკანდნით მრეწველთა და შესამე კრებაზე მის წინააღმდეგ ამხედლებულან. მარა თერთრი კენჭების მოსაპოვებლათ, ბ-ნი ზღანოვიჩის წერილობითი საბუთი მიუცია ბ-ნი ემერიკისათვის, ოღონდ ამომიჩიეთ და ამიერიდან სხვა ფირმების საქმეში არ გავვრევიო, რის შედეგიც იყო მისი გათეთრება.

აი ორი მთავარი ბრალდება: პირველით უღალატა მრეწველთა ინტერესებს თავის დამქაშთა და ჯიბის სასარგებლოთ, ხოლო მეორით ფაუსტიკით სული გაყიდა კენჭებისათვის იმავე ჯიბის სასარგებლოთ.

მერე როგორ პასუხს იძლევა ის? ყოვლად განსაკვირვებელს. პირველის შესახებ სრულიად არას ამბობს, მას არც კი იხსენიებს. აშკარაა, ამ „სწ. ფურცლის“ გმირს მართლა უღალატნია თავის ამრჩეველთათვის და საზოგადო საქმე თავის სასარგებლოთ გამოუყენებია. ხოლო მეორე ბრალდებას ამტკიცებს, მართლა დავსწერე წერილი და აღუთქვი ემერიკს და სხვებს—კერძო ფირმების საქმეებში არ გავვრევიო. მაგრამ შეცადანოვს ეს ბრალდება იმით შეასუსტოს, რომ ვითომ ის აღუთქვა წვირლ მრეწველთა და არა სხვილთ, თითქოს ეს სულ ერთი არ იყოს. საქმე იმაშია, რომ მან სული გაყიდა თერთრი კენჭებისათვის—ხოლო ვის მიყიდა ტარტაროზს თუ ბელზებელს—ეგ სულ ერთია. ბოლოს, რასაკვირველია, ეს პირობაც დაარღვია, თავის სიტყვას უღალატა, თავისი სული უკან დაიბრუნა, სამაგიეროთ წვირლ მრეწველთა სულებს მუხრუჭი მოუჭირა და თვითონ მისაკუთრა. მარა აქ ამას აღარ გამოუდგებით, „შავი-ქვის“ ამხანაგობის შესახებ იმედია უფრო ნამდვილ ცნობებს გამოაქვეყნებს და მის ამბავსაც მაშინ გავიგებთ.

ამნაირათ, ემერიკის ორი მთავარი ბრალდება—სრულიად ვერ შეარყია ზღანოვიჩმა, პირიქით პირველი გაჩუმებით დაადასტურა, ხოლო მეორე თავისივე სიტყვებით.

მოდით ამას შემდეგ ნუ გაგვიკვირდებათ წვირლ-მრეწ-

ველთა საქციელი, რომლებმაც ასეთ ნდობა-გატეხილ კაცს თავისი საქმეები მიანდეს!

გაზეთ «Бак. Изв.» 51 №-ში საყურადღებო ამბავია მოთხრობილი:

გაზეთ „Нов. Путь“-ის მე-2-ე ნომერში, რომელიც თებერვლის პირველ რიცხვებში გამოვიდა დაბეჭდილი იყო ვილაც I. C.-ის წერილი სათაურით: Наши задачи въ Сибири. როგორც შემიღებ აღმოჩნდა, ეს წერილი გამოდგა პირდაპირ კობია მინისტრ ვიტტეს მოხსენებისა, რომელიც თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში დაიბეჭდა, მთავრობის უწყებებში. ამ ინციდენტის გამო „Нов. Вр.“-მ ბრალი დასდო „Нов. Путь“-ის რედაქციას, ვითო მას რაღაც მანქანებით მოეპოვებოდა ვიტტეს მოხსენება და დაებეჭდა თავის ორგანოში, რადგან არ შეიძლება ვითქვოდ, რომ ვიტტე თავის მოხსენებაში I. C.-ს წერილს შეიტანდა. „Нов. Путь“-ის რედაქციამ თავი იმართლა და სხვათა შორის განაცხადა, რომ მას არც კი შეეძლო შეეტყო, რომ ეს წერილი ისეთ ოფიციალურ პირს ეკუთვნის, როგორც ვიტტეა, რადგან წერილში ორი ადგილი „რედაქციისაგან და მოუთხოვებელ მიზნების გამო“ გამოტოვებულ იქნა. აქედან ცხადი შეიქნა, რომ ცენზურას ვიტტეს მოხსენებაში ორი ადგილი წაუშლია.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! „კვალის“ 6 №-ში მოთარგმნულია წერილი ბ. «გ. წინწინაძისა» შესახებ საზოგადოების სამკითხველს მდგომარეობისა. ბ. წინწინაძე აღნიშნავს რა სამკითხველს ვითომ და არასანატრელ მდგომარეობას, ბრალს სდებს მის გამკობას არა მარტო დაუდევრობაში, არამედ სამოცი მანათის კასში შენახვაში. ბ-ნი წინწინაძე გვეკითხება: რატომ წიგნები არ არის სამკითხველში დაკრძმული და ყოველი საჭირო ნივთები შექმნილი არა გაქვთა? ჩვენ ვუვლდებით საზოგადოებას გამტკბოთ სამართლუ ზეზნი. საზოგადოების სამკითხველს განსნა გადაწყდა იკლბისის მარკელ რიცხვებში. ამ დღიდანვე გამკობა შეუდგა ახალი წიგნების მოძოვებას და მათ შორის ფულის შეკრებას. შეგროვდა სიმოც მანათი დი ეს ფული მიკაბრეთ ადგილობრივ რეინის გზის კასში არა იმასთვის, რომ საკვებლით გავევლიდებინა, არამედ იმ მიზნით, რომ ეს ფული არ იყო საკმადასი წიგნთ-საცავის გასახსნელათ, შენობის დასაქარაველათ, წიგნებისა და სხვა გამტკებების დასაკეთათ და რომ არ დაგვბეზოდა, აუცილებლათ საჭირო იყო მათი ჯეროვან ადგილას შენახვა. შემდეგ კიდევ მოკვაროვეთ ფული, ძველს ახალი მიკუმატეთ და როგორც კი შესაძლებლათ დაინახეთ, დაიქიჩოვეთ სხლი, შექიძინეთ საჭირო ავეჯელობა და დაიკვეთეთ გზეთები—„ივერია“ და „თფილისის ფურცელი“, და ნარჩენები კი, საშუალების უქონლობის გამო, კერ დაგოკვეთეთ, მაგრამ კინათხოვრეთ კი სხვებისგან და აშხარათ ვაწოდებლით მკითხველს თავთავის დროზე. გარდა ამას შეკვაროვეთ გულ

შესატყვართაგან არასმდე ქართულ-რუსული წიგნი, რომელიც ვაქცი-
დეთ და დააწვეთ სამკითხველში. ყოველივე ეს მოკვაროვეთ
სულ ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში. მდგომარეულს წიგნთ-საცავს
მირველიდან კი დაიკვეთეთ თითქმის ყველ საქართველო-
სული ადგილობრივი გამტკებანი და ახალი წიგნებიც შევიძინეთ.
ასე ცოტა ხნის განმავლობაში მეკის გაკეთება არც შეიძლებოდა.
რაცა შეეხება სამკითხველს გამკობის თავმჯდომარეს, კნ. ელე-
ნე ლორთქიფანიძეს, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ მთლათ ცოტე-
ბით დატაკი და ორთავე თვალთ ბრძა არ არის ადამიანი, ადგი-
ლათ უნდა სეფადეს, რომ ქ-ნი თავმჯდომარე გამკობის დიდი
მადლობის ღირსია და აი რათ: თითქმის ორი წელი წიგნებისა
და ფულებისა, რაცა ჩვენს სქმკითხველს შექიძინა—შესძინა მან.
გარდა ამის რიცა ფული გვებრძება და არა გვექს სოფლე—იგი
თავის კობიდან აკაფოფილებს სამკითხველს საჭიროებას. ახარო-
ში სამკითხველს შემოსავალ-გასავლისა, უკანასკნელ კაპეკამდე
თავის დროზე ეცნობება საზოგადოებას. ახლა ჩვენ ვიკითხოთ—
რათ დასჭირდა ბ-ნ წინწინაძეს ტყეილ-უბრადოთ იმ მართა დაგ-
მობა, რომელნიც სულით და გულით ემსახურებინ კეთილსა და
სასარკებლო საქმეს?!


გამგეობის წევრი

II

ბ-ნო რედაქტორო! ყველა ჩვენგანმა კარგათ უწყის, თუ რა
სარკებლობის მტანა შეუძლია სახალხო წიგნებს ჩვენი უკან რა-
მორჩენილი ხალხისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედურათ სახალხო წი-
გნების საჭიროების შეტნება შეტნებათვე რჩება და ჩვენი ხალხის
აუცილებელი მოთხოვნალება-მოთხოვნალებათვე, რადგან ჩვენში
სახალხო წიგნები შეადგენს თითქმის არარობას, რის გამოც ევ-
ლასკლებმა შარშან ორჯერ გაუგზავნეს „კვალის“ რედაქციას ფული
დღესასწაულებში უმნიშვნელ-უსარკებლო სარკების მაკიერ. ამ
ფულით „კვალის“ რედაქციამ უკვე გამოსცა მეტათ სასარკებლო
სახალხო წიგნები «თანამედროვე ქალაქი», რომელიც თითქმის სრუ-
ლიად გაყადა, მას შემოსვლით მატარებულ „კვალის“ რედაქ-
ციას სურს გამოსცეს სხვა უფრო საუკეთესო წიგნი.

როგორც ევლასკლები, აგრეთვე ყველა ჩვენი ხალხის წინ-
მსვლელობის მეთვალყურენი, დიდი მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ
უმისოთაც მძიმე საქმეებით დატვირთულმა რედაქციამ, იკისრა სა-
ხალხო წიგნების გამტკება, და იმედის შემდეგ მან დიდი უსრად-
ლებით მოექტევა ხალხის მოთხოვნალებს და მიაწვდის საჭირო-
სასარკებლო წიგნებს, რამაც, იმედა, დახმარებას აღმოუჩინს
ქართული საზოგადოება.

რათა „კვალის“ რედაქციას შეეძლოს საუკეთესო სახალხო წი-
გნების გამტკება, ამიტომ ევლასკლები საჭიროთ რაცნებ გაუიღულ
წიგნებიდან შემოსულს თანხას მიუმატოს თავისი წელიწადი—სახალ-
წლოთ უსარკებლო სარკების მაკიერ—ოცდაათი მანათი (30 მან.),
ეს ფულები გამოვიღეთ შემდეგმა წირებმა: ალ. ქანდარია, აკაკი ან-
ჯაფარიძე, ვასილი ალასანიძე, კონსტანტინე კანდელაკი, გრიშა
ფარასტაშვილი, მინელი მდივანი, ვასილ გოჯია, მ. კ. შექმარია-
შვილი, მ. გ. ჩიქოვანი, კ. მ. ჩიქოვანი. ნ. ბ. ჯავახია, დავით
ზადაშვილი. სოლომონ უხნაძე, სერგო მებურიძეი, № №,
ინარო სამსონია, სამსონ მარჯანოვი, ზესტან ტყეცვაძე, გერმანე



გიორგაძე, იაკინთე წერეთელი, ალ. კონ. ლუღაძე და რუისელი ია... ფა—ლი.

ვეფხისტყაოსნის განმარტება გვაქვს საადგილობრო უსარგებლო ხარ-ჯების მაგიერ გამოუგზავნათ «გვალას» რედაქციას რამდენიმე თუ-მანი ზრუჭით იმ საუკეთესო თარგმანისთვის, რომელიც იქნება ღირსათ ცნობილი რედაქციის მიერ.

აგრეთვე გვსაუბრება «გვალას» რედაქციას ერთი თუმანი, რომელიც ინახება ვეფხისტყაოსნის მომავალ სამკითხველს სასარგებლოთ, ამისათვის ვთხოვ რედაქციას წიგნის გამოცემისთანავე გამოამიგზავნოს ერთი თუმნის წიგნები.

იასონ ფანიშვილი

III

ბნო რედაქტორო! უმარჩილესათ გთხოვთ ნება გვაძლათ თქვენი მატევიკული გაზეთი „ვეფხისტყაოსნი“ საშუალებით გუდიოთადა მადლობა შევსწიროთ ბნ კაპიტონ გაბრიელას ქე სამსონას, რომელიც ძიმიითის ერთკლასიან სკოლას საუმაწვილო უუწნაღ „ქუ-ჯილს“ უწერს 1902 და 1903 წლების განმავლობაში. კუსურ-ვეთ სკოლას ასეთი გულშემატევირება სხვებმაღ გაუწიან.

მზრუნველი ძიმიითის სკოლისა ს. პატივიშვილი.

რედ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამკურნალო

ბედვეანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

აჯადმეოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ :

- გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.
- ნ. ტ. მუღანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
- ბ. გ. მადლაშვილი—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
- დ. ი. კამოვეი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 01 საათიდან 11-მდის.
- ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულეზანი, 11—12.
- კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გუდგუანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლო-ბა ელექტრონით 12—1 ს.
- გ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვების, და ბავშვებისა სამშაბ. და პარასკ. 1—2. კვრაობით—9—11.
- ა. გ. ბაჩსუკოვი—დედათა სნეულეზანი, ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1.
- გ. მ. ამბარდანიშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.

გ. კრ. სობოლევსკი—ქირურგ. და ორტოპედოლოგის აკრმ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

ს ა დ ა მ ო თ ა : ქვეყნული გიზლირობა

- ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულეზანი, 5—6.
- ა. გ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის ცხრა, მიკრო-ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი 5—6. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარი-გებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

1903 წ ე ლ ს

გაზეთი „ნიმარია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორათაც დღემდე გამოდიოდა, ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუშანია. ამ ფუ-ლის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. კინც ახლაც დაბარებს გაზეთს მერმისთვის და ერთ თუ-მანს წარმადგენს, ამა ნაუმბრას და დეკემბრას ნომრები შექთათ გაგზავნება.

ს ე ლ ი ს - მ ო წ ე რ ა მ ი ა დ ე ბ ა :

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარ-ვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გა-მაგრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სახახლის ქუჩა, თავ-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიებში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში—აექსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

ბაქში—ზიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქა-ლანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში:—(ყვირილაში): ივანე დავითის ძე 'აყვარელი-ძესთან.

სამუნისში—პეტრე მაჭავარიანთან.

შირვანში—ბარტენ ნასიძესთან.

განჯაში—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზე).

კარში—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზე—10 კაპ. სტრ., მეოთხე-ზე—5 კაპ. მთელი გვერდი გვზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 55 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакция „ერია“.

გამოვიდა და იყიდება

ვეფხისტყაოსნის „ქართვ. შორის წერა-კით. გამაგრებული სა-ზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

გუნების ცოდნა.

I. ზოლებერი.

26 სურათით.

თარგმანი ზ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.